რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 11 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გამოცემა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: თვიურად 2 მან. 60 კაპ., თითო ნომერი 12 კაპ. კანტორა „განათლებიდან" აგენტებს დაეთმობა 9 კაპ. და [illegible] —30 კაპ. [illegible] —15 კაპ.; [illegible]

ფული [illegible]: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა [illegible] მიიღება.

რედაქციაში [illegible] ლება 10—12 საათ. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 120 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 120

ქალაქის ვერის პარკში

კვირას, 13 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე

თბ. არსებულ რაჭა-ლეჩხუმის დემოკრატ. ორგ. დამხმარე კომიტეტი მართავს

სეირნობა-კონცერტს.

მუსიკალურ განყოფილებაში შესრულებული იქნება სხვა და სხვა რევოლიუციონური სიმღერები ქულაჯებში გამოწყობილ „თბ. ქართველ მომღერალთა გუნდის მიერ მიხეილ კავსაძის ლოტბარობით. აგრეთვე შესრულებული იქნება რაჭული ფერხული და რამდენიმე რაჭული სიმღერები.

ბაღში გაიმართება: ტუმბო, პტიშკო, ლიკური და სხვა გასართობები.

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ზურნა. ◆ ბილეთების ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება მე 3 შემ. გამ. ამხ (ვერ. დ. ლმ.) საღ. 6—8 ს. კვირას ბაღში შესავალ კარებთან

შაბათს, 12 აგვისტოს საღამოს 5 საათზე

სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება ამიერ კავკ. გლეხთა ს. დეპ. ცენტრის

სასწრაფო სხდომა

კრების მიზანია საორგანიზაციო კომისიის მოხსენების განხილვა. ცენტრის პრეზიდიუმი სთხოვს წევრებს, აუცილებლად დაესწრონ კრებას.

ფოთში.

რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ფოთის კომიტეტი

სთხოვს ყველა იმ ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც ფოთის გარეთ იმყოფებიან 12 აგვისტოს აუცილებლად ფოთში უნდა დარჩენ არჩევნების გამო.

სარიყამიშის რ. ს.-დ. მ. პ.

ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ სარიყამიშის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის ბიურო მიმდინარე 1917 წლის 27 ივლისს გადავიდა ახალ სადგომში, ანასტასიევის სახლში ბიოგრაფ „აპოლოს" პირდაპირ. იქვე გახსნილია პარტიული კლუბიც.

ბიურო ღიაა დილ. 10—2 საათამდე, საღამოს 6—10 საათამდე.

აქვე იყიდება ჟურნალ-გაზეთები და ბროშურები.

სარიყამიშის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაცია.

კანტორა

„განათლება"-მ

პეტროგრადიდან მიიღო სხვა და სხვაგვარი

დიდძალი რევოლიუციონური შინაარსის ლიტერატურა.

ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 30 მან. წიგნებს, იმათ დაეთმობათ მანეთზე 15 კაპ.

აქვე იყიდება საოლქო ს.-დ. კომიტეტის ყველა გამოცემები.

კვირას, 13 აგვისტოს, დანიშნულია თელავის შემ.-გამსესხ. ამხანაგობის

წლიური კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1915 წლის ანგარიშის შესახებ, 2) 1916 წლის ანგარიში, 3) მოხსენება საბჭოსი 1916 წლის ანგარიშის შესახებ, 4) გამგეობის მოხსენება სესხზე სარგებლის დაკლების შესახებ 11 დან 10 დე, 5) გამგეობის მოხსენება ვადით შემოტანილ ფულზე სარგებლის დაკლების შესახებ, 6) გამგეობის მოხსენება გირავნობის ქვეშ სესხის გაცემის თაობაზე, 7) საბჭოს მოხსენება რწმუნებულთა კრების შემოღების შესახებ ნაცვლად წევრთა კრებისა, 8) გამგეობის ერთი წევრის არჩევა ნაცვლად კიკვიძისა და საბჭოს 7 წევრისა ნაცვლად: მ. ამანაშვილისა, მ. ხომიზურაშვილისა, ლუკა ქიმოთიძისა, ს. ყურაშიძისა, ა. ყარაულაშვილისა, ა. თუშიშვილისა და ნ. ორკოდაშვილისა, რომელთაც წლის სამსახურის ვადა შეუსრულდათ.

რომ კრება კანონიერი იყოს, საჭიროა დაესწროს არა ნაკლებ 250 ამხანაგი.

თფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის

პედაგოგიური საბჭო

ამით აცხადებს, რომ გადასასვლელი (დამატებითი) ეგზამენები ამ სასწავლებელში მოხდება 22—24-ს აგვისტოს და ამ რიცხვებში უნდა გამოცხადდენ მხოლოდ ის მოწაფენი, რომელთაც გამოცდები აქვთ საბჭოსაგან დანიშნული.—მისაღები ეგზამენებისა და სწავლის დაწყების დროს კი ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—1

ამიერ კავკასიის საფერშლო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებითი გამოცდები დანიშნულია 25 და 27 აგვისტოს.

მისაღები გამოცდები დაიწყება 27 აგვისტოდან. მოწაფეებს მიიღებენ კონკურსით, მარტო პირველ კლასში. ადგილთა რიცხვი შეზღუდულია. თხოვნები მიიღება 15 აგვისტომდე.

გამოცდები დაიწყება დილის 9 საათზე.

გამოვიდა და იყიდება კანტორა „განათლება"-ს მიერ გამოცემული

ნოე რამიშვილის

ცნობილი წიგნი

ისტორიული მატერიალიზმი

ახლათ შესწორებული ავტორის მიერ. ფასი 1 მ. 50 კ.

იყიდება კანტორა „განათლება"-ში. აგენტებს დაეთმობათ 20%. ნისიად არავის გაეგზავნება.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, 1—2 და საღ. 5—6 ნახ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ქ. ქუთაისში.

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოიდან 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ვათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

საშა ჩიგოგიძეს.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს საოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] სახ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. [illegible] რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. ივანე წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ საიდაც ბარგით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადვე გამოგზავნილი, ფასდაუდებლად ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организаціи Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტის სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

რევოლიუციის გამაგრება.

რუსეთის დიდი რევოლიუციის გაღრმავებას კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია წინ აღუდგა და მას ყოველ მხრიდან თავს ესხმის.

აქნობამდის თუ რევოლიუცია ზემოთ იწევდა, თანდათან ღრმავდებოდა—დღეს იგი დაღმართისაკენ დაექანა და მას მრავალი ძალები გამოეთიშნენ.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. რევოლიუციის პირველ ხანაში თითქმის ბურჟუაზიაც კი ნამდვილ რევოლიუციონურ კლასებს გვერდში მისდევდა და მას წინააღმდეგ ნაბიჯებს არ სდგამდა. მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობა, საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება რევოლიუციონური კლასების სასარგებლოთ შეიცვალა. მუშათა კლასმა და გადაჭარბებულმა გლეხკაცობამ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ასპარეზზე გაბედული ნაბიჯები გადადგეს და მრავალი თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილეს.

ამ გარემოებამ კი რევოლიუციონური არმია, რევოლიუციონური დემოკრატია ერთ დიდ ბანაკად გადააქცია და ძლიერი რევოლიუციონური ორგანიზაცია შეიქმნა. ასეთმა მდგომარეობამ მასაში გაიღვიძა მეტი უფლების მოხვეჭის სურვილი და იგი თანდათან ფართოვდებოდა. უკანასკნელი გარემოება რევოლიუციონურ კლასებს საშუალებას უსპობდა სწრაფად მოპოვებული თავისუფლება, რევოლიუციონური პოზიციები გაემაგრებინა; ფართო მასის კლასობრივ ორგანიზაციას შესდგომოდა.

რევოლიუციის ასეთმა მსვლელობამ თვით ნამდვილ რევოლიუციონურ პარტიების ლიდერებსაც კი მთავარი მოვალეობა დაავიწყებინა და ესენი რევოლიუციის გამაგრების საქმეზე შედარებით ნაკლებათ ფიქრობდენ. ვილჰელმ ლიბკნეხტის ისტორიული თქმულება—რევოლიუციის მოპოვება კი არა, არამედ რევოლიუციის მიერ მოპოვებული თავისუფლების გამაგრება მთავარი საქმეა—რუსეთის სინამდვილემ სავსებით გაამართლა.

რევოლიუციის პირველ დღეებში, ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას არავითარი საფრთხე არ მოელოდა, შემდეგში „ჰარმონია" დაირღვა; რევოლიუციას ბურჟუაზიული ძალები გამოეყვნენ და აშკარა კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყეს. 3—5 ივლისის მოძრაობის შემდეგ ბურჟუაზია აშკარათ დაირაზმა და თავის გარშემო ყველა კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები შემოიკრიბა. მათი სითამამე იქამდისაც კი მივიდა, რომ ბურჟუაზიამ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს—ამ რევოლიუციონურ ორგანოებს სრული უნდობლობა გამოუცხადეს და ისინი ზედმეტ დაწესებულებათ გამოაცხადეს.

რევოლიუციონურ ორგანოების კონტროლს, მის ცხოველმყოფელ ძალას უარყოფენ და დროებითი მთავრობას, სადაც ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც შედიან დამოუკიდებელ უფლებას ანიჭებდენ.

ეჭვს გარეშეა ბურჟუაზიის ასეთი ნაბიჯი გამოხმაურებას პოულობს. მას სამრეწველო კლასები და ყაზახთა ხალხის წარმომადგენლები ემხრობიან და მათი ბანაკი ძლიერდება.

კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია ახლა გათამამდა, გათამამდა მხოლოდ იმიტომ, რომ საერთო ძალთა განწყობილება ამ ჟამათ ძველებური აღარ არის, რევოლიუციის პირველ ხანის ურთიერთობას აღარ გავს. კლასობრივი დიფერენციაცია გაცხოველდა, მრავალი ძალები, რომლებიც დღევანდლამდი რევოლიუციონურ მიმდინარეობას მისდევდა—ეხლა ჩამოშორდა და თავშესაფარი ბურჟუაზიის დროშის ქვეშ ჰპოვა.

მაშასადამე რევოლიუციონურ ძალების დანაწილება, მისი დიფერენციაცია ფაქტათ გადაიქცა და მისი საწინააღმდეგო ძალები აშკარათ გამოდიან. ეხლა ბრძოლა წმინდა კლასობრივ ხასიათს ღებულობს და ამ ბრძოლაში ის კლასი გაიმარჯვებს, რომელიც მეტ ორგანიზაციას, მეტ კლასობრივ შეგნებასა და სიმწიფეს გამოიჩენს.

რევოლიუციონურმა კლასებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ დემოკრატიული კლასების ორგანიზაციის მოპოვებული თავისუფლების გამაგრებაზე პირველათ ნაკლებათ იზრუნეს და ამ გარემოებამ კი წარმოშობა ის მდგომარეობა, რომელსაც კონტრ-რევოლიუციის გამძლავრებას ვუწოდებთ.

მაშ ეხლა რევოლიუციონურ კლასების მთელი ყურადღება ამჟამად რევოლიუციის გაღრმავებისაკენ, რევოლიუციონურ კლასების კლასობრივ შეგნებისაკენ უნდა იქნას მიმართული. ამის გაძლიერება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებაში—ქალაქის თვითმართველობაში, პროფესიონალურ კავშირში, კოოპერატივში გავამაგრებთ და ყველა ამ დაწესებულებას პოზიტიურსა და სარევოლიუციო მოქმედების ასპარეზათ გამოვიყენებთ. მაშ ჩვენი მთელი ყურადღება კლასობრივ ორგანიზაციისაკენ უნდა იქნას მიქცეული და ეს გარემოება ჰქმნის ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლის მეოხებით რევოლიუციონური ორგანოები გაძლიერდებიან და კონტრ-რევოლიუციონერების იერიშებს მოიგერიებენ.

კლასობრივი და რევოლიუციონური ორგანიზაცია—აი რა უზრუნველჰყოფს რევოლიუციის გამარჯვებას.

ქ. გორის ამრჩეველთა მიმართ.

კვირას, ქ. გორის ხმოსანთა არჩევნები მოხდება. ამ დღეს უნდა გადაწყდეს, ვის ანდობს თავის ბედს დემოკრატია.

გორი ვალდებულია სხვა ქალაქების მაგალითს გაჰყვეს. ყველგან ხალხის ინტერესების დამცველად სოციალ-დემოკრატია გამოდის. ამ პარტიის სია გაატარეს თფილისში, ქუთაისში, თელავში და სხვა ქალაქებში. ამავე დროს ხალხმა გადაჭრით ზურგი შეაქცია ნაციონალისტურ პარტიებს. ფედერალისტებმა ქ. თფილისში სულ 2 ხმოსანი გაიყვანეს, ხოლო ნაციონალ-დემოკრატებმა სამი ხმოსანი. ნაციონალიზმი ყველგან დამარცხდა და ეს იმიტომ, რომ ნაციონალისტური პარტიების ლაშქარია მცონარე ინტელიგენცია და მსხვილი ვაჭარმრეწველნი და სახლის პატრონნი. მათ დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვთ. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს, განსაკუთრებით ამ ჟამად, როცა ყველანი დემოკრატიულ სამოსელში იკაზმებიან.

ამომრჩევლებო! თქვენ იცნობთ ხალხისათვის თავდადებულ და მის ინტერესებისათვის მედგრად მებრძოლ პარტიას, სოციალ-დემოკრატიას. ყველგან მის დაუღალავ შრომას მიეწერება პლუტოკრატიის ალაგმვა და თვითმართველობის დემოკრატიის მიერ დაპატრონება. ეს პარტია ჩაუდგა სათავეში რუსეთის რევოლიუციას თებერვლისა და მარტის დღეებში. მეფის ტახტის დამხობა უპირველესად სოციალ-დემოკრატიის დაუღალავ მოღვაწეობას მიეწერება. ამიტომაც არის მთელი დემოკრატია ვალდებული თავისი ნდობა სოციალ-დემოკრატიას გამოუცხადოს. **ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიას № 1.**

ამხანაგებო და მოქალაქენო! ქალაქის თვითმართველობა რევოლიუციის ბურჯი უნდა შეიქნეს. ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები. რევოლიუცია განმტკიცდება ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების დემოკრატიის ხელში გადასვლით. ეს რასაკვირველია იმ პარტიის საქმეა, რომელიც მუდმივი და საუკეთესო დამცველია მშრომელი ხალხისა. თუ თქვენ გსურთ თავისუფლების საბოლოოთ დამყარება და კონტრ-რევოლიუციონერთა ალაგმვა, **ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიას № 1.**

დღემდის ქალაქის თვითმართველობა ერთ მუჭა მსხვილ ვაჭარ მრეწველთა და სახლის პატრონთა სათამაშო ასპარეზს წარმოადგენდა. ამიტომ იყო ხალხის ინტერესებს ფეხქვეშ თელავდენ. ამიერიდან ქალაქის თვითმართველობა მშრომელი ხალხის იარაღი უნდა შეიქნეს, ყველაფერი დემოკრატიისათვის—ასეთია სოციალ-დემოკრატიის მიზანი. ამიტომაც თქვენ **ხმა უნდა მისცეთ სიას № 1.**

თუ თქვენ გსურთ ქალაქის თვითმართველობა ისევ მდიდართა ინტერესებს ემსახურებოდეს, აირჩიეთ ნაციონალისტური პარტიები. თუ თქვენთვის ხელსაყრელია ერთა შორის შუღლი და მტრობა, ხმა მიეცით ფედერალისტებს, ნაციონალ დემოკრატებს და დაშნაკელებს.

მაგრამ თუ თქვენ ესწრაფვით ქალაქის მშრომელი ხალხის ხელში გადაცემას და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას, თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ დემოკრატია აშენდება სხვადასხვა ერთა თანამშრომლობით და საერთო საქმისათვის ამოძრავებით, **ხმა მიეცით სოციალ დემოკრატიულ სიას № 1.**

სოციალ-დემოკრატიამ დალეწა მეფის ტახტი და ამსხვრევს იმ ბორკილებს, რომელიც პლუტოკრატიამ გასჭედა. გვერდში ამოუდექით სოციალ დემოკრატიას. ამ გზით ქალაქის თვითმართველობა თქვენი ინტერესების დამცველი და რევოლიუციის ბურჯი შეიქნება.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

საერთაშორისო ომი

ტუკუმის მიმართულებით გერმანიის ჯარმა იერიშების მოტანა დაიწყო და რუსის ჯარს უკან ახევიებს. ტირულისა და მდ. აას შუა გერმანიის ჯარმა 2—3 ვერსის მანძილით წინ წამოიწია. დანარჩენ ფრონტზე რუსის ჯარი იერიშებს იგერიებს.

რუმინიის ფრონტზე ქ. სერეტის სამხრეთ დასავლეთით ავსტრია-გერმანიის ჯარმა გამაგრებული მაღლობები დაიკავა. ფოკშანისა და ოკნას მიმართულებით რუსეთისა და რუმინიის ჯარი მოწინააღმდეგის იერიშებს ჯერ-ჯერობით იგერიებს.

კავკასიის ფრონტზე, პენჯვინის მიმართულებით რუსის მოწინავე რაზმებმა წინ წაიწიეს და მერიკონის შესავალი დაიკავეს.

დიდი ამბები დატრიალდა საფრანგეთის ფრონტზე ვერდენისა და მდ. მაასის მარჯვენა ნაპირებთან საფრანგეთის ჯარმა ბრწყინვალედ 18 კილომეტრის სიგანით და 2 კილომეტრის სიგრძით წინ წაიწია. მათ ხელში ჩაიგდეს ავაკურის ტყე, მორტომის ორივე მაღლობი, „304“ მაღლობი და სხვა მრავალ-მნიშვნელოვანი სიმაგრეები. ამ ბრძოლის დროს საფრანგეთის ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა გერმანელების 5000 ჯარის კაცი და 116 ოფიცერი.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 9—10 აგვისტო).

ქალაქის არჩევნები.

ალატირი. ქალაქის არჩევნებში სოციალისტთა ბლოკმა გაიმარჯვა, მიიღო 34 ადგილი.

სტოკჰოლმში დელეგატების გაგზავნის წინააღმდეგ.

ლონდონი. მაღაროს მუშათა ფედერაციის კერძო თათბირზე დაადგინეს მიტინგზე ბრიტანეთის მუშათა დელეგატების სტოკჰოლმის კონფერენციაზე გაგზავნის წინააღმდეგ მისცენ ხმა.

შრომის გენერალურ კონფედერაციის დადგენილება.

პარიზი. დეპუტატთა საბჭოს დელეგატებმა სმირნოვმა და გოლდენბურგმა შრომის გენერალურ კონფერენციის კომიტეტის კრებაზე სთხოვეს გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენელი სტოკჰოლმის კონფერენციაზე. კომიტეტმა დაადგინა გაგზავნოს არა ნაკლებ ორი დელეგატისა. გოლდენბერგი და სმირნოვი ლონდონსკენ გაემგზავრენ.

ალმასრულებელ ორგანოთა რეზოლიუცია.

ჰელსინგფორსი. 7 აგვისტოს ადგილობრივ რევოლიუციონურ დემოკრატიის აღმასრულებელ ორგანოების კრებაზე გენერალ-გუბერნატორ სტახოვიჩის მოხსენების შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: 1) ერთხელ კიდევ დავადასტუროთ 20 ივლისს მიღებული რეზოლიუცია. 2) არსებულ მდგომარეობიდან გამოსავლელად საჭიროა შემდეგს შედგენილი კომისია ფინელ და რუს დემოკრატიის თანასწორი რიცხვით. 3) ვ[illegible] ბრძოლაში, გაერთიანებული კრება შე[illegible] მას რუსეთის უმაღლეს რევოლიუციონურ ორგანოს, მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. რეზოლიუცია მიიღეს 59 ხმით წინააღმდეგ 15 ხმის.

ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიების კონფერენცია.

პეტროგრადი. გაიხსნა ნაციონალურ-სოციალისტური პარტიების კონფერენცია. მონაწილეობას იღებენ შემდეგი პარტიები: შრომის, სახალხო-სოციალისტების, ქართველ ფედერალისტების, ლიტვის პალეიციონი, ებრაელთა გაერთიანებული, ბელორუსთა გრამოტა, ოსების, ესტონელთა, ს. დემოკრატიული, ლიტვის და ს. რევოლიუციონერთა. იხილავენ ნაციონალურ პარტიების საბჭოს ორგანიზაციის საკითხს. დაადგინეს მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის თათბირზე.

მთავრობასთან მოლაპარაკების და უკრაინელთა ავტონომიის საკითხი.

კიევი. მცირე რადა განაგრძობს მთავრობასთან მოლაპარაკების განხილვას. მთავრობის ინსტრუქცია კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ზოგმა მხარი დაუჭირა ინსტრუქციის მიღებას და ზოგმა არა. განსაკუთრებული რეზოლიუცია არ გამოუტანიათ. [illegible] სეკრეტარიატის რაფესმა განაცხადა, რომ ინსტრუქცია შეთანხმების შედეგი არ არის და წარმოადგენს მხოლოდ ცალმხრივ აქტს, მაგრამ მაინც წინადადება მისცა მიეღოთ. ვინიჩენკომ აღნიშნა, რომ ინსტრუქციით უკრაინის ავტონომიის [illegible] დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია. წინადადება მისცა მიეღოთ ის და თან განაცხადა, რომ უთანხმოება იმ ზომამდე მივიდა, რომ უკრაინაში ნემცები მოვლენ და თავიანთ ინსტრუქციას მოგვცემენ. მდგომარეობა გამწვავებულია.

სვეაბორგის კომენდანტის ბრძანება.

ჰელსინგფორსი. რადგან ცნობები მიიღო, რომ სვეაბორგის სიმაგრის რაიონში ვიღაცეები იარაღს და პატრონებს ყიდულობენ ციხის კომენდანტმა ბრძანება გასცა, რომ უფროსებმა სასტიკი თვალყური ადევნონ იარაღების შენახვას და პატრონების ხმარებას.

ფინლიანდიის საქმეები.

ჰელსინგფორსი. ინგმანმა აცნობა გენერალ-გუბერნატორს, რომ ბურჟუაზიული პარტია შეუძლებლად სცნობს ახალ სენატის შედგენას, სანამ არ გამოქვეყნდება სეიმის არჩევნების შედეგები და ფიქრობენ, რომ ქვეყნის მართვა გამგეობა არჩევნების შემდეგ სენატის შემადგენლობის ხელში უნდა დასტოვონ, რომელიც სოციალისტების წასვლის შემდეგ მხოლოდ მარტო ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან შედგება. მოლაპარაკება გრძელდება.

დამწვარი ქალაქი.

სოლუნი. ქალაქი სოლუნი სულ მთლად გადაიწვა. 84 ათასი მცხოვრები უსახლ-კაროდ დარჩა.

მოსკოვის თათბირი.

პეტროგრადი. ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო იტყობინება, რომ მოსკოვის თათბირზე დამსწრე პირთა სიის შედგენა 9 აგვისტოს დასრულდა და ამის შემდეგ შემოსულ განცხადებებს აღარ განიხილავენ.

ქალაქის არჩევნები.

ეკატერინობურგი. ქალაქის არჩევნებში ს.-რევოლიუციონერებმა მიიღეს 44 ადგილი, ბოლშევიკებმა 18, ხალხის თავისუფლების პარტიამ 10, მენშევიკებმა 8, დანარჩენმა პარტიებმა 2 და სახალხო სოციალ. 1.

კიევი. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. დემოკრატი დრელინგი—მენშევიკი.

ადესა. ს.-რევოლიუციონერებმა მიიღეს ნახევარზე მეტი ხმა, მეორე ადგილი უჭირავს სიონისტთა ბლოკს ებრაელ ორტოდოქსალისტებთან ერთად, ამდენივე ხმა მიიღეს ხალხის თავისუფლების პარტიამ. მეოთხე ადგილი უჭირავს მენშევიკთა და ბუნდისტების ბლოკს, ბოლშევიკებმა ძლიერ ცოტა ხმა მიიღეს, შავრაზმელებმა კიდევ ნაკლები.

ინგლისის მუშათა დადგენილება.

ლონდონი. მუშათა კონფერენციამ 3000 ხმის უმეტესობით დაადგინა გაგზავნოს დელეგატები სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

სამხედრო სარევოლიუციო სასამართლო.

დვინსკი ერთ დივიზიის სამხედრო სარევოლიუციო სასამართლომ ეფრეიტორ იადგელკოვსკის თავის ნებით ადგილის დატოვების და ნემცებთან დაძმობილებისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. რადგან თვით სასამართლომ აღძრა შუამდგომლობა სასჯელის შემსუბუქების შესახებ, მეხუთე არმიის სარდალმა და კომისარმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს შტაბის სარდლის წინაშე სიკვდილით დასჯა უვადო კატორღით შეეცვალოს.

საქალაქო არჩევნები.

რიბინსკი. სოციალისტურმა ბლოკმა გაიყვანა 50 ხმოსანი, კადეტებმა 7, სახლის პატრონებმა, ხელოსნებმა და სხ. 4 ხმოსანი, ებრაელებმა 1.

ხაბაროვსკი. აირჩიეს 43 სოციალისტი, სახლის პატრონი 5, კადეტი 4, ფედერალისტი 2, და უკრაინელი 1.

ცრუ იმედი.

ადესა ბესარაბიიდან იტყობინებიან, რომ იქ მისულა ბესარაბიიდან განდევნილი ბერმონაზონი ინოკენტი. ინოკენტის აგენტები ხმებს ავრცელებენ: ომს მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როცა ინოკენტი თეთრ ცხენზე შემჯდარი ბრძოლის ველზე გაემგზავრება.

ელჩის შეურაცყოფა.

ადესა. ამერიკის ელჩს, რომელიც ყავახანის წინ იჯდა ვიღაც უცნობმა მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა.

არეულობის მოლოდინში.

ასტრახანი. ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციების თათბირმა დაადგინა გადასცეს მთელი ძალა-უფლება ადგილობრივი ჯარის უფროსს. ჯარის უფროსმა აკრძალა ქუჩებში ყოველგვარი კრებები და ბრძანება გამოსცა, რომ ყოველგვარი ცდა არეულობის მოსახდენათ ძალით იქნება ჩაქრობილი.

ბელორუსიის ავტონომია.

მინსკი. მინსკის და ვილნის გუბერნიების გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობამ რეზოლიუცია გამოიტანა ბელორუსიის ავტონომიის წინააღმდეგ. ყრილობის აზრით რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში საოლქო თვითმართველობა უზრუნველყოფს თითოეული ერის კულტურულ ნაციონალურ განვითარებას.

ბავშთა შრომა.

პეტროგრადი. შრომის დაცვის განყოფილება იმუშავებს კანონ-პროექტს, რომლითაც ბავშთა შრომა აკრძალული იქნება 14 წლამდე. 14 წლიდან 17 წლამდე მუშაობის დრო უნდა განისაზღვროს 6 საათით. განუწყვეტელი მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს. დილის 7 საათზე ადრე არ შეიძლება მუშაობის დაწყება და უნდა თავდებოდეს საღამოს 7 საათზე.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

რომი. როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიმავალ დელეგატებს პასპორტებს იტალიის მთავრობა არ აძლევს.

ომის დეპეშები

პეტროგრადი. 9 აგვისტო. ტუკუმის მიმართულებით, ტირულის ტბის დასავლეთით გერმანელებმა იერიშები მოიტანეს და ჩვენ ცხენოსან ჯარს კალნცემსაკენ დააწვნენ. ტირულის ტბის და მდ. აას შუა მტერმა წინ წამოიწია და ჩვენმა ჯარმა 2—3 ვერსის მანძილით უკან დაიხია. ბაბიტის ტბის სამხრეთით, რაგაცემს მახლობლად მტრის იერიშები მოვიგერიეთ, მდ. აას აღმოსავლეთით, ლემინგის რაიონში მოწინააღმდეგემ საარტილერიო სროლა განაცხოველა. საარტილერიო სროლა გაცხოველდა ბროდის მიმართულებით.

რუმინიის ფრონტზე, სერეტის სამხრეთ დასავლეთით მტერმა იერიშები მოიტანა. ოკნას მიმართულებით ბრძოლა გრძელდება, ფოკშანის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტზე, პენჯვინის მიმართულებით ჩვენი მოწინავე რაზმები წინ მიიწიეს ხარსანის რაიონში, ზერი-მაჩის ტბასთან დავიკავეთ მერვინის შესავალი.

პარიზი. 8 აგვისტო. სერნის მიდამოებში გერმანელებმა სამ ადგას მოიტანეს იერიში, მაგრამ დიდი ზარალით იძულებული გახდენ სანგრებში დაბრუნებულიყვნენ. ვერდენის ჩრდილოეთით გერმანელებმა ღამით მოახდინეს ენერგიული თავდასხმა; ავოკურის ტყეში და კარტერის ტყის ჩრდილოეთით კონტრ-იერიშებს კიდევ მეტის ძალით აწარმოებდენ; მტერმა დიდი ზარალით უკან დაიხია, ჩვენ განვაგრძობთ ძველ პოზიციებზე დგომას. შვიდი აგვისტოს განმავლობაში ხელში ჩაგვივარდა ხუთი ათასი ტყვე, მათში 116 აფიცერი.

ვოკსალინის ჩრდილოეთით ჩვენმა ზარბაზნებმა აფეთქება გამოიწვია მტრის ბანაკში. ვერდენის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა აქ ხელთ იგდო ერთი სოფელი რენევილი. მეორე მხრით იერიშით მტერს წავართვით მთელი რიგი სიმაგრეებისა. მტრის კონტრიერიშს ვიგერიებთ. ტყვეთა რიცხვი მრავალია.

ვერდენის ჩრდილოეთით მდ. მაასის ორივე ნაპირზე ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო მთელი რიგი სანგრებისა. ტყე ავოკური ჩვენ ხელშია. ლუვენის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთამ დიდი მანძილით წინ წაიწია.

ლონდონი. 8 აგვ. დღეს, დილით მტერმა მესამეჯერ შეეცადა უკან დაებრუნებინა ჩვენ მიერ დაჭერილი ადგილები ეპეის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. თუმცა ადუღებულ სითხეს უშვებდენ, ყველა პოზიცია შევინარჩუნეთ და კიდეც მოულოდნელად თავს დაესხით გერმანელებს ეპეის აღმოსავლეთით, სენკანტენის არხის ფართო მანძილზე, რამდენიმე ტყვეც წამოვიყვანეთ.

რომი. 8 აგვ. იულიისის ალპებში განუწყვეტელი ბრძოლაა. ჩვენი ჯარები მარჯვეთ [illegible] მოპირდაპირე კარსის ხაზზე და მდინარის ნაპირზე. მესამე არმია ვერ უძლებს ჩვენს მძლავრს შეტევას და უკან იხევს. მტრის ძლიერი სიმაგრენი კორტა და რედის შორის გადავლახეთ. სტორილომბედის ძლიერ პოზიციასთან ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 261 ჰაეროპლანი. გუშინდლამდი ჯარების თავმოსაყრელ ადგილებში გადაგზავნეთ ათი ათას ას სამი ტყვე ჯარის-კაცი და 243 ოფიცერი.

ახალი ამბები

გურიის ცენტრალური კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. კრება დანიშნულია 15 აგვისტოს, ქ. ოზურგეთში, ნაშუადღევის 3 საათზე. ვსთხოვთ ამხ. წევრებს აუცილებლად დაესწრან კრებას. განსახილველია მნიშვნელოვანი კითხვები.

◆ **მზარეულთა გაფიცვა**. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექცია გაეცნო იმ მიზეზებს, რომლებმაც მზარეულთა გაფიცვა გამოიწვია. სექცია დარწმუნდა, რომ მზარეულები გაფიცულან მეწარმოებელთა მიერ ცენტრალური მომრიგებელი კამერის დადგენილების დარღვევის გამო და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებლათ საჭიროა მზარეულთა და სამზარეულოში მოსამსახურეთა სამუშაო პირობების რადიკალურათ შეცვლა. სექცია წინადადებას აძლევს ორივე მხარეს საქმე გადასცენ გამოსარკვევათ ცენტრალურ მომრიგებელ კამერას.

◆ **ბინის დამქირავებელთა კავშირი**. ბინის საკითხის მოსაწესრიგებლათ და ექსპლოატაციისაგან თავდასაცავათ თფილისში განზრახულია ბინის, ოთახის და ოთახის კუთხის დამქირავებელთა კავშირის დაარსება. კავშირის საორგანიზაციო ბიურომ გამოიმუშავა წესდების პროექტი და 15 აგვისტოს სახელოსნო კლუბის საზაფხულო შენობაში იწვევს კავშირში წევრათ ჩაწერის მსურველთა კრებას.

◆ **ყოფილ მინისტრთა საქმეების გასარჩევათ** შემდგარი საგანგებო საგამომძიებლო კომისია იწვევს პეტროგრადში ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრს მ. ჯაფაროვს, როგორც მოწმეს იმის გამოსარკვევათ თუ რა პირობებში მოხდა ძველი რეჟიმის დროს „ინოროდცების“ ბრძოლის ველზე სამუშაოთ გაყვანის შესახებ კანონის გამოცემა, რამაც გამოიწვია თურქესტანის არეულობა.

◆ **მარქსისტ მოწაფეთა კონფერენცია**. 13 აგვისტოს დ. ხიდისთავში (გურია) მოწვეულია გურიის მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციის მომწვევი კომისია სთხოვს ყველა ორგანიზაციებს გამოგზავნონ თავიანთი დელეგატები.

◆ **ყალბი დოკუმენტები**. სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა შეიპყრო ვინმე სირაძე, რომელიც თავის თავს „ვოლნოოპრედელიაუშჩის“ უწოდებდა. სირაძის მიერ წარმოდგენილი მოწმობა ყალბი აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ სირაძე მეთაური ყოფილა ორგანიზაციისა, რომელიც თურმე ერთ-ერთ სახლში ვაგზლის ქუჩაზე ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს. გამოირკვა აგრეთვე, რომ სირაძის, მაკაშოვსა და ჯავახიშვილთან ერთად მიჰქონდა მოსკოვში სპირტი, ამზადებდა ყალბ ბილეთებს დეზერტირებისათვის და სხ. შეიპყრეს მაკაშოვიც.

◆ **ტყავების შეძენა**. ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა ამიერ-კავკასიის საოლქო სამხ.-სამრ. კომიტეტს გადასცა 35 ათასი მანეთი თფილისის გუბერნიაში ტყავების შესაძენათ.

◆ **ზუგდიდელების დელეგაცია**. გუშინ ჩამოვიდა 8 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია ქ. ზუგდიდიდან. დელეგაციას დავალებული აქვს შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე შავი ზღვის რკინის გზის სადგურის ზუგდიდთან დახლოების შესახებ. დელეგაცია ესაუბრა მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარეს ამხ. ევგენი გეგეჭკორს, რომელმაც აღუთქვა ყოველგვარი დახმარება კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატიის სახელით. დახმარება აღუთქვა ზუგდიდელებს ამ საქმეში აგრეთვე ამხ. აკაკი ჩხენკელმა მისი ზუგდიდში ყოფნის დროს. ამხ. ჩხენკელი ჯერ კიდევ ძველი წეს წყობილების დროს ცდილობდა ამ საქმის მოგვარებას, მაგრამ თ-დ მინგრელსკის და მისი დამცველი მთავრობის წინაშე ვერაფერს გახდა. ახლა-კი, რევოლიუციონური დემოკრატიის-მიერ ზურგ გამაგრებული,—ის, იმედია, ღირსეულად დააგვირგვინებს ამ ზუგდიდისა და მთელი მაზრისთვის მნიშვნელოვან საქმეს.

◆ **ნ. რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი“** მიიღო რედაქციამ. წიგნი სუფთათ არის გამოცემული: 241 გვერდს შეიცავს და ღირს 1 მ. და 50 კ. წიგნს დართული აქვს ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობა. ეს წიგნი გამოსცა კანტორა „განათლებამ“.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** წინადადება მისცა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს აცნობოს საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს, რომ ამერიკის დიპლომატიის წარმომადგენლებთან დამოკიდებულებაში თანახმათ ამერიკის ელჩის განმარტებისა პეტროგრადში, უნდა ხმარობდენ „ამერიკის შეერთებული შტატები“ და არა „ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები“.

◆ **საჭიროა ძმარი**. ვისაც აქვს ძმარი გასაყიდი, შეუძლია ამის შესახებ აცნობოს თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის კანცელარიაში (პეტრე-დიდის ქ-ჩა, № 8.)

◆ **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან** არჩეულ სატყეო კომისიამ გადასცა [illegible] ტყის სატყეო რაიონის გამგეს ა. ტ. ტროფიმოვს 10 ათასი მანეთი ჯარისათვის საჭირო მასალების მოწოდების მოსაწყობათ. ამავე კომისიამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად გამოსადეგარია სარიყამიშის რაიონის ტყე ჯარისათვის.

◆ **პროვოკატორი**. ქუთაისში დააპატიმრეს ცნობილი პროვოკატორი კოლია რამიშვილი, რომელიც პეტროგრადიდან მალულათ ჩამოსულა.

◆ **ზარალი ცეცხლისაგან**. როგორც ბორჯომიდან იტყობინებიან, ამას წინათ ბორჯომის რაიონში გაჩენილ ცეცხლს გადაუნადგურებია 50 დესეტინა ტყე. ზარალი თურმე 120—130 ათას მანეთს აღემატება.

◆ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: სადგურ ლანჩხუთის მცხოვრებ არსენ წილოსანს რამოდენიმე პირი ბრალს სდებდა 1905 წელში სადგურ ქობულეთში სამსახურის დროს ჯაშუშობის ჩადენაში. ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ დანიშნულ კომისიამ ორჯერ გაარჩია ეს საქმე. შეგროვილი მასალები განხილულ იქნა სად. ლანჩხუთის მუშათა და მოსამსახურეთა კრებაზე, სადაც გამოირკვა, რომ ბრალდება კერძო ინტერესებით არის გამოწვეული და წილოსანს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ამხანაგთა წინაშე.

◆ **გაზეთის დაგვიანება** ტექნიკურ დაბრკოლების გამო (დაზიანდა ერთი მანქანა) გუშინ „ერთობა“ პროვინციის აგენტების დიდ უმეტესობას ვერ გაეგზავნა თავის დროზე.

◆ **სანოვაგე**. თფილისის ბაზარზე ამ ჟამით უხვათ შემოაქვთ სხვადასხვა სანოვაგე.

◆ **სურსათი**. 8 აგვისტოს თფილისში შემოიტანეს 2 ვაგონი შაქარი და 3 ვაგონი ფქვილი; 9 აგვისტოს—1 ვაგონი შაქარი.

◆ **თვითმკვლელობა**. 9 აგვ., ღამის ორ საათზე, [illegible] ოთახში თავი ჩამოიხრჩო სახლის პატრონმა კალინინმა.

— თავი მოიწამლა ტექნიკურ სასწავლებლის მოწაფემ, ნაძალადევის მცხოვრებმა მ. ხელაძემ. თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **კანტორა „განათლებამ“** მიიღო პეტროგრადიდან სხვა და სხვა ნაირი შინაარსის დიდძალი რევოლიუციონური ლიტერატურა.

◆ **სამგლოვიარო წერილები და დეპეშები**. გიორგი მარსაგოვის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო დეპეშა მივიღეთ გიორგი გოზალიშვილისაგან.

— ასეთივე დეპეშა მივიღეთ ინჟინერ ჯაშიასაგან ანდრო კილოსანის გარდაცვალების გამო.

— ეტიხი თალაკვაძის გარდაცვალების გამო მივიღეთ სამგლოვიარო წერილი, რომელზედაც ხელს აწერენ ტრიფონ სიმიაშვილი, პავლე ქაჯაიძე, თედორე ნინიძე, ბესარიონ ცეცხლაძე, ერმალო დათუნაიშვილი, სანდრო თოფურია, სანდრო შონია და მოსე ბერძენიშვილი. ასეთივე წერილი მივიღეთ ნიკო ჩიმაკაძისაგან, ს. დათუნაიშვილისა და ა. ს—ძისაგან.

კრებები და მიწვევები

მე-3 რაიონის კოლექტივი სთხოვს ამხანაგებს მოვიდნენ დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე კრებაზე.

— დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია წ.-კ. გ. საზ. თფილისის განყოფილების გამგეობის წევრთა კრება. განსახილველია საჭირო საქმეები ვთხოვთ ყველას უეჭველათ დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 7 ს. სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება კავკასიის ცენტრის წევრთა კრება.

შრომის ბირჟები.

შრომის სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი შრომის ბირჟების მოწყობის შესახებ და წარუდგინა დროებით მთავრობას დასამტკიცებლათ. კანონ-პროექტი ეხება, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე საოლქო შრომის ბირჟების მოწყობას. საოლქო ბირჟებმა უნდა გააერთიანონ ადგილობრივი შრომის ბირჟები.

ადგილობრივ ბირჟებს აწყობს ქალაქის და ერობათა თვითმართველობები. ადგილობრივი შრომის ბირჟის მოწყობა ევალება ისეთ კომიტეტს, რომელშიაც თანასწორი რიცხვი წარმომადგენლებისა შედიან პროფესიონალური კავშირებისა და წარმოების პატრონთა—კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს ქალაქის ან ერობის თვითმართველობა. თუ ვინიცობაა, პროფესიონალური კავშირები არ არსებობენ იქ, სადაც სურთ შრომის ბირჟის დაარსება, ქალაქის ან ერობის თვითმართველობას უფლება ეძლევა გამოარკვიოს ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შრომის ბირჟის მოწყობაში. ბირჟების მოწყობის და შენახვის საქმეში გაწეულ ხარჯების ნაწილს შრომის მინისტრის მიხედულობით იხდის ხაზინა.

საოლქო შრომის ბირჟებს აარსებს თვით შრომის სამინისტრო, საოლქო ბირჟების დანიშნულებაა ადგილობრივ და საოლქო ბირჟების მოქმედებათა გაერთიანება, მათში ერთნაირი საქმის წარმოების, ანგარიშის და სტატისტიკის შემოღება. ასეთი ბირჟების დასაარსებლათ 1917 წელს შრომის სამინისტრო ხაზინიდან მოითხოვს ნახევარ მილიონ მანეთის გადადებას.

მორიგი გამოსვლა.

მოგეხსენებათ, რომ რევოლიუციის პირველ დღეებში არავინ დარჩა ისეთი, რომელსაც რევოლიუციონერად და ხალხის ერთგულად არ მოქონდა თავი. ჯერ კიდევ გუშინ ყურ მოჭრილი მონა-მორჩილი, მაზრის უფროსი, თავადი—ჯაშუში, პროვოკატორი—ყველა ფიცულობდა—რევოლიუციონერი ვარო და ზოგან საჯაროთ სალაპარაკოდაც გამოდიოდენ. ასეთ ხალხს ახლოს ვერ გაეკარებოდი: სულ ბაქი-ბუქობდენ.

ძნელია ასეთ დროს კაცმა უპირატესობა დაუთმოს. სირცხვილია. მეორე მხრით ს. დემოკრატები ძველი რევოლიუციონერები არიან. ისინი თავიანთ ძველ ამხანაგებს იცნობენ, და აი, სწორედ „რევოლიუციონერები“ თავიანთ თავს უმეტეს ნაწილად სოციალისტ რევოლიუციონერებად ან ფედერალისტებად სახავენ. ისინი კიცხავენ ს. დ. ტაქტიკას, უკანასკნელნი მათ „ზომიერებად“ მიაჩნიათ.

ასეთ ხალხის დამახასიათებელი თვისება, როგორც ზევით ვთქვით, სხვათა შორის, ბაქი-ბუქიაობაა, ხმაურობა.

ყველაზე უფრო ხმიერი, ყველაზე უფრო ჩუმი, ხმა—ჩაგარდნილი ხალხი დღეს პირველ რევოლიუციონერად გვევლინება. გუშინდელი კარიერისტი, რომელიც ჩინის გულისთვის ძმას ყიდდა, დღეს შესაფერ წითელ პოზას იღებს, ერთგულებაში გვეფიცება. რასაკვირველია, ზოგან ჩვენც ვართ დამნაშავენი. მეტისმეტი გულჩვილობა და დაუდევრობა დაგვჩემდა ძველი მთავრობის აგენტებისადმი. ეს ერთნაირ საფრთხეს უმზადებს საერთო საქმეს. დაუდევრობაა, როდესაც, მაგალითად, რომელიმე სპირიდონ ენუქიძეს, სენაკის სასწავლებლის გამგეს, ძველი მთავრობის აგენტს, რომელიც სისტემატიურად დევნიდა თავის სკოლაში ქართულ ენას, დღეს, ბიუროკრატიის ბორკილებიდან განთავისუფლებული ხალხი ისევ სკოლის გამგედ ირჩევს. დაუდევრობაა და მიუტევებელი დაუდევრობა, როდესაც ძველი პოლიციელი, ჟანდარმი, [illegible] ადამიანი, უპრინციპო ხეპრე—დღეს რევოლიუციონერის სამოსში გვევლინებიან და ხშირად მათ ჩვენვე ამა თუ იმ პასუხსაგებ საქმეს ვაკისრებთ.

რევოლიუციამდე, მოგეხსენებათ, განსაკუთრებით სდევნიდენ მასწავლებლებს. რასაკვირველია, ამათში ბევრი იყო და არის პრინციპისა და იდეის ხალხი, მაგრამ მასსა, უმრავლესობა მდუმარენი იყვნენ. და აი ამ მდუმარეთა ერთმა ჯგუფმა, როდესაც დაინახა, რომ დღეს მათ არც სლავინსკი, არც ოდოევი და სხვა ვინმე ხელს არ დაუშლით, განიზრახა საპროტესტო დეპეშის გაგზავნა კავკასიის განსაკუთრებულ კომისარიატის სახელზე. ხუმრობა არ გეგონოთ! ეს ჩაიდინა ქ. თელავის და თელავის მაზრის მასწავლებელთა ყრილობამ 26 ივლისს.

რაშია საქმე?

მოგეხსენებათ, კავკასიის სამასწავლო ოლქის გამგე დროებითი მმართველობა შესდგა, რომელშიაც ქართველების მხრივ დაინიშნა ლ. ნათაძე. სხვა ერებს კიდევ ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები მმართველობაში, თავმჯდომარედ კი პრ. დუბროვსკაა. და აი თელავის მასწავლებელთ არ მოსწონებიათ ეს ამბავი. ისინი პროტესტს აცხადებენ ლ. ნათაძის „ცნობილ პედაგოგის დ. უზნაძის მაგიერ დანიშვნის“ წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ განახლებულ სკოლის სათავეში იდგეს „ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველმხრივ მომზადებული პედაგოგი, რომელსაც საზოგადოება საკმარისად იცნობს“. ცხადია, თელაველთა შეხედულებით 1) ლ. ნათაძე დ. ჯუნაძის მაგიერ დაუნიშნავთ; 2) ლ. ნათაძე ცნობილი არ არის. განსაცვიფრებელი მოვლენაა! დ. ჯუნაძე როდის იყო ოლქის მმართველობაში, რომ ის გადგდგო და იმის მაგიერ ნათაძე დაენიშნათ. ან იქნებ თელაველ მასწავლებელთა ადრესები ეგრიათ. მეორე: თელაველ მასწავლებლებს ნათაძე არ მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატათ. ისინი მას „უბრალო მასწავლებელს“ უწოდებენ. ვისაც გონება და აზროვნება არ დაჰკარგვია, ვინც უწყვეტლად არ შეპყრობილა პარტიული ქუჩიანობით, დამეთანხმება, რომ აქ პიროვნებაზე მხოლოდ სხვათა შორის ჩამოაგდეს თელაველ მასწავლებლებმა ლაპარაკი. აქ ლაპარაკობს მათი ვიწრო ეგოისტური ინტერესები. რათ და ჯუნაძე ჩვენი კაცია, ნათაძე-კი უცნობია. თორემ ვის მოუვა, თუნდ მოწინააღმდეგეებშია აზრად რომ ნათაძე „უბრალო მასწავლებლად“ მონათლონ და ჯუნაძე მაზე მაღლა დააყენონ? რათ არ კითხეს ამ მოქალაქეთ თავიანთ თავს —ვინ არის ნათაძე. იმათ რომ რევოლუციის ბედი და რევოლუციონერთა წარსული აინტერესებდეთ, მაშინ კარგად ეცოდინებოდათ, თუ ვინ არის ნათაძე, როგორც მოქალაქე და როგორც პედაგოგი.

პიროვნების შელახვა განუკითხავად, საპროტესტო დეპეშების შეხანხლება, მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელთა ლანძღვა გინება— აი ის გზა, რომლითაც დღემდე უვლიათ „სახალხო საქმეში“ მოკალათებულ ჩვენ მცონარე ინტელიგენტებს. ისინი ზაქი ბუქიაობენ, ხმაურობენ! რათ და ჩვენც ვხნავდითო! კარგი! მაგრამ ამდენი ხმაურობა და მოწინააღმდეგეთა ლანძღვა რა საჭიროა!

მდუმარეთ ბაგე აეხსნათ! მაგრამ პირველი მათი სიტყვა სამარცხვინოა მათთვისვე!

შხეფელი.

საგუბერნიო და სამაზრო გადამიჯვნის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

როგორც გაზეთებშიც იყო ამას წინათ მოხსენებული, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამჟამად იმუშავებს კანონ პროექტს ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ამ მიზნით სამინისტროს, როგორც პეტროგრადიდან გვატყობინებენ, გაუმართავს სათათბირო თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიუღიათ ამიერ-კავკასიაში მომქმედ პოლიტიკური ორგანიზაციების და ეროვნებათა წარმომადგენლებს, რომლებიც მიწვეული იყვნენ პეტროგრადში დამფუძნებელი კრების შესახებ წესების გამოსამუშავებლად. თათბირზე გადამიჯვნის მომხრეთ წერილობითი ახსნა-განმარტება წარუდგენიათ, სადაც მოყვანილია ყველა ის საბუთები, თუ რა მოსაზრებით უნდა მოხდეს ეს გადამიჯვნა და აგრეთვე ნაჩვენებია, რა სახითაც უნდა მოხდეს ის.

როგორც ვიცით, ეს საკითხი ყოველთვის დღის წესრიგში ისმებოდა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ერობის შემოღებაზე ამიერკავკასიაში.

გადამიჯვნის დროს უპირველესად ყურადღებას იქცევს მოხსენების თანახმად ამიერკავკასიის სამხრეთი რაიონი, რომელიც დასახლებულია სომხებით და მუსულმანებით. პირველ რიგში აქ ელისავეტპოლის და ერევნის გუბერნიებია.

რა სახით შეიძლება ამ ორი გუბერნიის გადამიჯვნა?

ელისავეტპოლის გუბერნია ორ ნაწილად იყოფა: მთა-გორიანი, სამხრეთ დასავლეთის ნაწილი, სადაც 419 ათასი სული სომხობა ცხოვრობს და მტკვრისა და არაქსის დაბლობი ადგილები, სადაც 797 ათასი სული მუსულმანი ცხოვრობს. ასევე განიყოფებიან მცხოვრებნი ეროვნების მიხედვით ერევნის გუბერნიაში—სომხობა 670 ათასი სული ცხოვრობს, მუსულმანობა—410 ათასი. აქ სომხობა უმრავლესობას შეადგენს შვიდი მაზრიდან მხოლოდ სამში, მაგრამ სამინისტროს აზრით ერევნის გუბერნიას შეიძლება შეუერთდეს ყარსის ოლქის ორი აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც სომხობა უმრავლესობას შეადგენენ, ტფილ. გუბ. ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ნაწილები, სადაც სომხობა აგრეთვე უმრავლესობას შეადგენს. ამ შემთხვევაში გადამიჯვნა ეხება ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებს, ყარსის ოლქს და ტფილისის გუბერნიის ორ მაზრას. თუ ზემო ნათქვამი დებულებები სახეში იქნება მიღებული, გადამიჯვნა ასე უნდა მოხდეს: 1) უნდა გაიყოს ელისავეტპოლის გუბერნია ორ ნაწილად: ელისავეტპოლის და განძაკის; 2) უნდა შედგეს განსაკუთრებული ალექსანდროპოლის გუბერნია, რომელშიაც შევა ყარსის ოლქის ორი ნაწილი, ტფილისის გუბერნიის ორი მაზრის ნაწილები და ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრის ერთი ნაწილი; 3) ამის შემდეგ ერევნის გუბერნია უცვლელად რჩება; 4) ყარსის ოლქის ორი ნაწილი, რომელიც ალექსანდროპოლის გუბერნიის ნაწილში არ შესულა, უნდა შეუერთდეს ბათუმის ოლქს, ან თუ ეს მოუხერხებელი იქნება, ალექსანდროპოლის გუბერნიის თვით ქალაქი ელისავეტპოლი ორ ნაწილად უნდა გაიყოს: სომხების ნაწილი, რომელშიაც 20 ათასი სომხობა სცხოვრობს და თათრების, — რომელშიაც 40 ათასი სული ცხოვრობს. ამნაირი გადაჯგუფება-გადამიჯვნის შემდეგ განძაკის გუბერნიაში იქნება სომხობა 366 ათასი სული, თათრობა 134 ათასი, სხვა ერები 28 ათასი სული; ელისავეტპოლის გუბერნიაში—სომხობა 53 ათასი, თათრობა—663 სული; სხვა ერები 31 ათასი სული; ალექსანდროპოლის გუბერნიაში სომხობა—474 სული, თათრობა 121 ათასი და სხვა ერები 124 ათასი სული; ერევნის გუბერნიაში სომხობა 459 ათასი, თათრობა 381 ათასი, სხვა ერები 26 ათასი. ერევნის გუბერნიის დანარჩენ ტერიტორიაზე დარჩება 860 ათასი სული მცხოვრები, რიცხვით თანასწორი—თათრობა და სომხობა. აქ ჩვენ მოვიყვანეთ მოკლეთ მოხსენების ადგილები. მოხსენებაში რა თქმა უნდა, დასაბუთებულია ყველაფერი თავისებურად, ჩამოთვლილია რომელ გუბერნიაში რა და რა მაზრები შევლენ, რა და რა სოფლები, მათი ეკონომიური კულტურული და სხვა გამოკვლევანი.

მოხსენების აზრით ზოგიერთი ცვლილებები სხვა გუბერნიების საზღვრების გასწორებასაც უნდა შეეხოს, მაგრამ ამას მცირე მნიშვნელობა აქვსო, მაგ., შესაძლებელი ყოფილა გორის, დუშეთის და თიანეთის და რაჭის მაზრების ნაწილების გამოყოფა, რომლებიც მთიულებით ყოფილა დასახლებული და თერგის ოლქთან შეერთება, მაგრამ ამის შესახებ კონკრეტიული მასალები არ ჰქონია სამინისტროს და ამიტომ გადაჭრით არას ამბობს. დაბოლოს მიზნის შესაფერად მიაჩნიათ სოხუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიაზე შეერთება, საზღვარი იქნება გაგრა.

დანარჩენ ადგილებს მოხსენება გადაუმიჯნავათ სტოვებს. დასკვნა ასეთი გამოჰყავთ:

ასეთი გადამიჯვნა კავკასიაში ერთნაირ ნაციონალურ თანასწორობას ჰქმნის თურმე, რაც მიზნის შესაფერი ყოფილა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი თვალსაზრისით—ადგილობრივი თვითმართველობათა და სასამართლოთა მოწყობის საქმეში. ამის შემდეგ ქართველები შეადგენენ დიდ უმრავლესობას ორ გუბერნიაში: ტფილ. 1.300 ათას სულს, ქუთაისისაში—1200 ათას სულს, თათრები ბაქოში 1 500 ათას სულს, ელისავეტპოლისაში 750 ათასს და დაღესტანის ოლქში 800 ათასს. სომხები უმრავლესობას შეადგენენ ორ ახლა გამოჩეკილ გუბერნიებში: განძისაში 530 ათასს და ალექსანდროპოლისაში 720 ათასს სულს.

საზოგადოთ აქ მოყვანილ ციფრებს ჩვენ ვერ შევეხებით,—არ შეგვიძლია ასე ზეპირათ ვსთქვათ, თუ რა ღირებულებას წარმოადგენენ ისინი. ერთი კი შეგვიძლია ვსთქვათ: ისინი მაინცა და მაინც დიდი ღირებულების არ უნდა იყოს, აბა, როგორ შეიძლება ასეთ ციფრებს და „გამოკვლევებს“ ნდობით მოეპყრათ, როცა რაჭის და გორის მაზრებში ასეთი „მთიულები“ აღმოუჩენიათ, რომლებიც თურმე თერგის ოლქს უნდათ მიაწერონ!

შეიძლება წინააღმდეგი ან მომხრე იყოთ გადამიჯვნისა. მაგრამ ეს უნდა გადაწყდეს ადგილობრივად, ხალხის შეკითხვით, ხალხთან მუშაობით და არა სხვადასხვა დაწესებულებებში დიპლომატიურის გზით მოხსენების წარდგენით, როგორც მუშაობენ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწენი და ამით ჰქმნიან ერთნაირ საზოგადოებრივ აზრსაც.

რ. ს.-დ. მ. პ. გორის ორგანიზაციის სახმოსნო კანდიდატთა

სია № 1.

1. **კეცხოველი ალექსანდრე (იგივე სანდრო) ზაქარიას ძე** პროპაგანდისტი, ამნისტიით განთავისუფლებული, ძველი ვეტერანი და ორგანიზატორი 1905—6 წ. წ.
2. **ვარდოიანცი გიორგი თედორეს ძე**, მასწავლებელი ამნისტიით განთავისუფლებული.
3. **ონიაშვილი დავით ეფრემის ძე**, იურისტი, ლიტერატორი, მუშათა დეპუტატების საბჭოს და ქალაქის და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარე.
4. **მაჩაბელი გიორგი ზაალის ძე**, მაზრის კომისარი, აგრონომი.
5. **ნინიძე კირილე იესეს ძე** იურისტი, ჟურნალისტი, მაზრის კომისარი, მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
6. **ქარცივაძე ივანე ერდიზხანის ძე**, სამხედრო მოხელე, მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი, წევრი ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისა.
7. **პოლივოდა გიორგი აბრამის ძე**, იუნკერი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე.
8. **ოქუაშვილი ვლადიმერ ზაქარიას ძე**, კაპიტანი, ამნისტიით განთავისუფლებული, მუშათა დეპუტატების საბჭოს მდივანი.
9. **მინაზაროვი გიორგი ალექსანდრეს ძე**, მუშა, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
10. **რობაქიძე სერგეი ისიდორეს ძე**, პედაგოგი, გუბერნიის სასკოლო ინსპექციის კომისარი.
11. **ალექსანდროვი ალექსი ალექსის ძე**, შტაბს-კაპიტანი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი.
12. **იახამანოვი გრიგოლ ზაქარიას ძე**, მუშათა დეპუტატების საბჭოს და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
13. **ჯავახიშვილი ზაქარია (ზაქრო) გიორგის ძე**, აგრონომი კოოპერატორი.
14. **ზუკოვი ვასილ ალექსის ძე**, იუნკერი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმ. კომიტეტის წევრი.
15. **ჯავალიშვილი დავით ნიკოლოზის ძე**, აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
16. **კობერიძე მიხეილ სპირიდონის ძე**, ექიმი, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
17. **ეირუბოვი ტერენტი დიმიტრის ძე**, პრაპორშჩიკი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
18. **მიქაძე აბრამ პეტრეს ძე**, მუშათა დეპუტატების საბჭოს და სასურსათო გამგეობის წევრი.
19. **სოლოლოვი ოლღა ილიას ასული**, მასწავლებელი.
20. **გაბუნია იოსებ იაკობის ძე**, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი, ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
21. **მათიევი მიხეილ ზაქარიას ძე**, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
22. **კინწურაშვილი მიხეილ პავლეს ძე**, მასწავლებელი, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
23. **ვადაჭკორია ეფრემ იასონის ძე**, იუნკერი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი.
24. **ნიკიტინი გრიგოლ იასეს ძე**, იუნკერი
25. **ბაბანოვი გრიგოლ იასეს ძე**, მასწავლებელი.
26. **ძახოხოვი ალექსანდრე გრიგორის ძე**, პრაპორშჩიკი, მაზრის კომისარი.
27. **ჯანელიძე თედორე ახლანის ძე**, ჯარისკაცი. მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
28. **ფოცხიშვილი ოქროპირე სტეფანეს ძე**, ჯარისკაცი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
29. **ბეჟიდური შიო ბიმიანეს ძე**, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
30. **ხუბუტური ზურაბ ბეროს ძე**, მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი.
31. **ცაკლაური ნიკოლოზ როსტომის ძე**, მუშა, მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი.
32. **მათიევი ივანე გიორგის ძე**, მუშა, მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი.

გორის კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ.

გაუგებრობა თუ უტიფრობა!*)

(ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის გამო).

„თუ სახელის შოვნა გინდა
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე“.

ი. ჭავჭავაძე.

გაუნათლებელსა და უკულტურო წრეს, რომ უკეთესოთ ცხოვრება არ შეუძლია, ეს გარემოება დიდი ხანია უცილობელ ჭეშმარიტებათ არის აღიარებული მეცნიერებაში.

ამას ერთხელ კიდევ ამტკიცებს „ზაკავკაზსკაია რეჩში“ დასტამბული ოთხი ფელეტონი**)—ვინმე „старый потіецъ“ ფსევდონიმით, რომელიც თავიდან ბოლომდის მხოლოდ ბ-ნ. ნიკოლაძის ქება დიდებას შეიცავს.

ბ. „პოტიეცი“ ასე ჩამოთვლის ნ. ნიკოლაძის ფოთელ მოღვაწეობას. ნ. ნიკოლაძემ

1) გააშენა, დაიარაღა ფოთის პორტი და მოახდინა მისი მუნიციპალიზაცია.

2) აღებინა ქ. ფოთს მთავრობისაგან დაზღვეული სამი საობლიგაციო სესხი.

3) შემოიღო ნახევარ კაპეიკიანი გადასახადი,

4) გააშენა ელევატორები,

5) მოუპოვა ფოთს ხაზინიდან და პორტის გადასახადიდან 600,000 მანეთის დახმარება,

6) გადახარდა ფოთს შემოსავალი 58 000 მანეთიდან 205 ნახ. ათას მანეთამდე.

7) ნ. ნიკოლაძის თავობის დროს აშენდა და გაკეთდა ფოთის ყველა ძველი შენობები.

8) გააშენა ფოთის სასწავლებლები, ახალი სობორო პაკლაუზები, დუქნები, ქალაქის სამკურნალო ელექტრონული სადგური, წყალსადენი, ტრამვაი რიონის და მალთაყვის ხიდები, დამბები რიონის ნაპირებზე; გადააკეთა არსებული ეკლესიები, უპრავის შენობა, სასკლაო და პოლიციის ბინა.

ამათ გარდა ნამსახურების სიაში ნახსენებია ნიკოლაძის ზოგი პროექტები, მაგრამ მათ ჩვენ განზრახ არ ვეხებით უმთავრესად იმიტომ, რომ ნიკოლაძის მოღვაწეობაში ამ პროექტებს არაფერი არ შეაქვს და მარტო ამ პროექტების სია ავტორს მეტად შეეცირებულათ აქვს მოყვანილი. მაგალითად არ არის აქ მოყვანილი მისი პროექტი მეორეხე საობლიგაციო სესხის შესახებ, რომელიც ნიკოლაძემ, მიუხედავათ ცხრა წლის მეცადინეობისა, მაინც ვერ გაიყვანა. დანარჩენებში ყველაზე უფრო საგულისხმო ქალაქის საზოგადო ბანკია, მაგრამ მისი გახსნა არსებულ საურთიერთო ნდობის სრული ლიკვიდაციით უნდა დაიწყოს, ვინაიდან ორი ადგილობრივი ბანკი კი არა ერთიც სულს ლაფავს. ამ საურთიერთო ნდობის ლიკვიდაციას კი მოყვება მეოთხედი მილიონი ზარალი ქალაქის კასისთვის. და აი რატომ წინათ ქალაქის გამგეობის წევრი ერთ და იმავე დროს ყოფილა ამ საურთიერთო ნდობის დირექტორიც. ერთხელ მას მოულოდნელი რევიზია სტუმრებია და რომ ამ რევიზორთან პირნათლათ გამოსულიყო, ჩუმად ქალაქის კასიდან მეოთხედ მილიონ მანეთამდის ბანკის კასაში შეუტანია. რევიზორის ქუჩა გამოცდილებას მოლოდინისთვის გადაუმეტრებია, მას ეს ფული დაუბრუნებია და ამ დღიდან ეს ფულები ქალაქ ფოთს „ვკლადათ“ ეთვლება ადგილობრივ საურთიერთო ბანკში. ნამდვილათ კი ამ თანხით გაფლანგული ფულებია დაფარული, მაგრამ დავანებოთ თავი ამ ცოდვებს და შეუდგეთ „старый потіецъ“-ის მიერ შედგენილ ნამსახურებითი სიის განხილვას ცალ-ცალკე.

1) რას ნიშნავს პორტის მუნიციპალიზაცია?

— პორტის მუნიციპალიზაცია ნიშნავს პორტის ყოველივე საქმის, როგორც მთელი დაწესებულების ერთიანად ქალაქის ხელში გადასვლას. პორტს სვე ბედზე ქალაქის სრული ბატონ პატრონობის გამოცხადებას და მისი საქალაქო დაწესებულებათ გადაქცევას.

ამის მსგავსი დამოკიდებულება არსებობს ფოთის ქალაქსა და მის პორტს შორის?

— კატეგორიულათ ვაცხადებთ, რომ არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს მათ შორის. როგორც მთელს რუსეთში, ისე ფოთშიაც პორტის მუნიციპალიზაციის სახსენებელიც არ მოიპოვება. ფოთის პორტის საქმეებსაც ის კანონები და მათგან დაწესებული ორგანოები განაგებენ, რომელნიც მოქმედებენ მთელს იმპერიის მთავარ პორტებში. მართალია, სხვა ქალაქებთან შედარებით ქალაქ ფოთის დიდი ღვაწლი აქვს თავის პორტზე მაგრამ არ არის მართალი თუ ვინმეს გონია, ამით ფოთს თავის პორტზე ბატონობაც მოეპოვებოდეს. არც ის არის მართალი, თითქოს ფოთის პორტის შენება ნიკოლაძეს დაეწყოს პირველად. ამ პორტის შენებაში მთავრობამ ბევრი ფულები ჩაყარა ნიკოლაძემდისა,—ამან მხოლოდ გადაკეთება იშუამდგომლა და ამ მიზნით გამოითხოვა მთავრობას უფლება გამოეცა ქ. ფოთს ამ მიზნით სამი საობლიგაციო სესხი—რაც უდრის 5.400.000 მ. რახან სესხი ქალაქის სახელზე გამოიცა, ცხადია მისი დახარჯვის ანგარიშის წარმოდგენაც მას მიენდო, ამით დიდ და ერთგვარი განსაკუთრებული დამოკიდებულება ფოთისა და მოსაპორტეს შუა. ეს სამუშაო ერთიანად გადაეცა ზღვის სააშენებლო საზოგადოებას, რომელიც ამიდან განსაკუთრებულ როლს თამაშობს ფოთის საქმეებში.

ამ დღიდან ფოთის პორტის გადაკეთებამ დაკარგა მუნიციპალური ხასიათის პრინციპიალური მნიშვნელობა, ის კონტრაგენტების ხელში გადაიქცა მსუქან დუმათ, რომელსაც მადიანათ ეწაფებოდა პეტერის სფერებში დიდი გავლენიანი ფირმა ბუნგე-პალაშკოვსკისა ფოთის უპრავა გადაიქცა მათი ბრძანების აღმასრულებელ უბრალო კონტორათ, რომელშიაც გაჩნდა ორი უცვლელებელი შტატი: „საამშენებლო განყოფილება“ და „ბუხგალტერია“ ფულების მიძრაობა და ანგარიში წარმოებდა ქალაქის კასისა და უპრავის წიგნების საშუალებით, ქალაქის პირდაპირ საჭიროებაზე კი არც ერთი გროში არ იხარჯებოდა. სანამ ფოთის პორტის გადაკეთება დამთავრდებოდა, მანამდის ზოგ წვრილმანებში მაინც ასე თუ ისე უწევდენ ანგარიშს ქალ. ფოთს პორტის გამგეები. როგორც კი სამუშავო დამთავრდა და უპრავის კასა დაცარიელდა. მათაც პირი იბრუნეს ქალაქისაკენ დრიუენკოს (პორტის ყოფილი უფროსი) წინაამდეგ, მაგრამ მას მოყვა სმელსკი, რომელმაც შეუდგა ქალაქის მოჩვენებითი უფლებათა ფეხქვეშ ქცევას, ამათ მოყვა პეტროვი, რომელმაც უკვე გააქარწყლა ქალაქის უფლება და მონაწილეობა პორტის საქმეებში. ამ შეცვლის რეჟიმს მოყვა რადაც ცოდვების ჩხრეკა—სესხების დახარჯვის კონტროლი, ანგარიშების დაგვიანებით მოთხოვნა, უპრავის რევიზია, ნიკოლაძის პასუხის გებაში მიცემა და სხვა...

მთელი პორტის ტერიტორია 298 ათას ოთხკუთხ საჟენი სივრცით, ღირებული მაშინდელი შეფასებით არა ნაკლებ 6 მილიონი მანეთისა, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა, უსასყიდლოდ გადასცეს, აჩუქეს მთავრობას ფოთელმა პატრიოტებმა ქალაქის გამგეობაში. გარდა ამ ფასდაუდებელი საჩუქრისა მთელი 15 წლის წინათ აშენა ქ. ფოთმა თავის პორტი, რომ პორტის გაშენებით და მოწყობით ქალაქსაც სიკეთე და ბედნიერება მინიჭებოდა. ეს იყო მთავარი და პატრიოტები პრინციპი, რომლითაც ნ. ნიკოლაძე სხვა-და-სხვა დროს და ადგილას ასაბუთებდა თავის მოღვაწეობას, მაგრამ დაბოლოს აქ საქმე ისე მოეწყო, რომ კონტრაგენტის სასარგებლო გამოდგა დაწერილი და საქმეც მათთვის კეთდება. პორტის ტერიტორია რადგანაც ცალკე სახელმწიფოდ გადაიქცა და დღითი დღე უფრო და უფრო იმიჯნება ქალაქისაგან.

2. სესხი.

პირველი საკითხის გარკვევის შემდეგ ცხადია, თუ რა საქმისთვის და ვისი შემწეობით იშოვნა ბ-მა ნიკოლაძემ სამი საობლიგაციო სესხი. დიახ, სესხი ჩვენი ქალაქისათვის ახალი ხილი იყო, მაგრამ თუ ის ასეთ პირობებში დაიხარჯებოდა, თუ მით აშენებული პორტი ასე მოიძულებდა ქალაქს, მაშინ უმჯობესი იყო ქალაქ სრულებით არ აეღო სესხი. სესხი არ არის საშიში და სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის რამე სარფიან და შემოსავლიან საქმეს ხმარდება. ფოთში კი ეს არ მოხდა. სესხი გამოიცა ქალაქის სახელზე, ამით მისი ნდობა-კრედიტი დაიაჯვა — მოხმარდა-კი ერთიანად პორტს, იმ მიზნით, რომ გაშენებულ პორტს შემდეგ მისი გამშენებელი ქალაქი ეხეირებია. როცა პორტი ამ მიზანს ცდება, ცხადია ამით ქალაქისათვის სესხის სარგებლიანობაც ერთბაშათ ქარწყლდება. რაცა ხანია ბ. ნიკოლაძემ მეოთხე საობლიგაციო სესხი გამოითხოვა პორტის გამგეობა ეწინააღმდეგა მას და არც უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა ის იმ მოსაზრებით, რომ ფოთი უიმისოდაც დავალიანებულია, პორტის მთელი შემოსავალი გადაჭარბებულათ დაკავებულია ვალების პროცენტებით და ასეთ პირობებში სესხის ნებართვა არ შეიძლებაო. აქედან ცხადია ქალ. ფოთის ნდობა შერყეულია, ის სესხის სახით ერთიანად პორტზეა შეწირული. ასეთ პირობებში სესხის აღება შეიძლება ახალი საქმე იყოს, მაგრამ არასარგებლიანი და საზიანო. ასეთ პირობებში ჩაყენებული ქალაქი ერთ გროშსაც ვერ იშოვის თავის საკუთარ საჭიროებისთვის, რასაც ამტკიცებს მეოთხე სესხის ისტორია და მთელი მისი მოუწყობელი მეურნეობა სულ უკან უკან წავა. დიახ, ეს ახალი სესხია მაგრამ ის პორტის და მისი ამშენებელი ქალაქის კონტრაგენტების სასარგებლო და არა ქალაქის.

ფენიქსი.

(შემდეგი ხვალ).

---

*) ეს წერილი აღმოჩნდა რედაქციის არქივში. რადგანაც ის აშუქებს ნიკოლაძის მოღვაწეობას ფოთში, რედაქციამ საჭიროთ დაინახა ამ არჩევნების წინ მისი დასტამბვა, მიუხედავათ იმისა, რომ ის 1915 წელს არის დაწერილი. რედაქცია.

**) იხ. Закавк. рѣчь. за 1915 г. №№ 192, 196, 203 и 212—Письма изъ поти—„Старый Потіецъ“.

ნუ თუ ეკლესიაც სტყუის?

ძველი ბიუროკრატიული ეკლესია, რომ მუდამ სტყუოდა, ეს ჩვენთვის საეჭვო არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ იმისი იმედი კიდევ გვქონდა, რომ „განახლებული“ და „ტყვეობისაგან განთავისუფლებული“ ქართული ეკლესია ორიოდე თვე მაინც დაიჭერდა თავს ისეთი არასაკადრისი საქციელისაგან, როგორიცაა ადამიანის მოტყუილება. ავტოკეფალისტებმა თავიდანვე გვაუწყეს, რომ კათალიკოსს ისინი აირჩევენ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით, ამის შესაფერი წესებიც კი შეიმუშავეს ამ ერთი კვირის წინად და საჯაროდ გამოაქვეყნეს. ჩვენ გვეგონა, ეკლესიამაც შეიგნო დემოკრატიული პრინციპის სამართლიანობა, და ვგიხაროდა, ვგიხაროდა იმიტომ, რომ თვით ხალხი მოიძებნდა ეკლესიის თავს, რომელიც მისთვის სასურველი და შესაფერი იქნებოდა. მაგრამ ნუ იტყვით, ავტოკეფალისტებს ლამაზი პროგრამა მხოლოდ იმიტომ შეუდგენიათ, რომ უფრო ადვილად მოატყუონ ხალხი. ეხლა გაიგეთ, რომ ავტოკეფალური ეკლესიის დროებითი მართველობას [illegible] პრინციპი შეიმოკლა ვითომც იმიტომ, რომ ხალხი ჯერ ამისთვის მომზადებული არაა. საკვირველია, მეტი რომ არა ვსთქვათ, ასეთი „არგუმენტი“. ნუ თუ ამ ორი კვირის წინად მომზადებული იყო ხალხი საყოველთაო არჩევნებისთვის, ეს მაშინ განსახორციელებელი იყო, და დღეს კი არა? არჩევნებისთვის არაა ხალხი მზად, ბბ. ავტოკეფალისტების შეხედულობით, და „დრამის“ გასაღებად კი მუდამ მზად უნდა იყოს?! ასეთი უხასიათო საქციელი არამც თუ ამაღლებელი და აღმაშფოთებელია, დამაფიქრებელიც უნდა იყოს: ყორანი რაც უნდა ხეხო, მაინც ყორანი დარჩება, ეკლესია რაც გინდა „განთავისუფლდეს“, დემოკრატიის ფერხულში ვერ ჩაებმება და ჩვეულებრივ სიცრუეს და თვალთმაქცობას ვერ მოიშლის. განა შეიძლება რამეს გამოელოდე ისეთ ეკლესიისაგან, რაგინდ „განახლებული“ იყოს ის, რომელიც ასეთ ფანდებს ჰმართავს?

ერთი ამრჩეველთაგანი.

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

დროებითი მთავრობის დადგენილება

თავი III.

არჩევნების გამგე დაწესებულებათა შესახებ.

11. არჩევნების განმგებლობა ევალებათ:

1) სრულიად რუსეთის, საოლქო, სატახტო ქალაქების, სამაზრო და საქალაქო დამფუძნებელ კრების საქმეთა კომისიებს, საუბნო საარჩევნო კომისიებს და

2) ქალაქების, სოფლების და სოფლის საზოგადოებათა ერობის გამგეობათ.

12. დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეებისათვის შემდგარი სრულიად რუსეთის კომისია დროებით მთავრობასთან იარსებებს. კომისიაში შედიან დროებით მთავრობის მიერ დანიშნული თავმჯდომარე და ის ხუთმეტი წევრი, რომელთაც დამფუძნებელი კრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო დებულების შესამუშავებლათ შემდგარი საგანგებო საბჭო წარუდგენს დროებით მთავრობას, ხოლო ეს უკანასკნელი კი მათ კომისიის წევრებათ დაამტკიცებს.

შენიშვნა: იმ საკითხების განსახილველათ, რომლებიც ამომრჩეველთა ამა თუ იმ ჯგუფსა და კატეგორიას შეეხება—დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარი სრულიათ რუსეთის კომისია ამ ჯგუფებისა და კატეგორიების წარმომადგენლებს მიიწვევს. წარმომადგენლებს ხმის მიცემის უფლება ექნებათ.

13. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარს სრულიათ რუსეთის კომისიას ევალება:

1) საერთო ზედამხედველობა არჩევნების მიმდინარეობაზე და მის დასაჩქარებლათ საჭირო ზომების გამონახვა.
2) შემუშავება როგორც იმ საერთო ინსტრუქციებისა, რომლებიც დამტკიცებული იქნება დროებით მთავრობისაგან ამ დებულების დასამატებლათ და განსავითარებლათ აგრეთვე ამ დებულებისვე შესასრულებელ წესისა (нак.)
3) დამფუძნებელ კრების წევრებათ არჩეულ პირთა სიის შედგენა და
4) დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის სტატისტიკურ და სხვა ცნობების შესამუშავებლათ ზომების მიღება.

14. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარი სრულიათ რუსეთის კომისია საოლქო და სატახტო ქალაქების კომისიებისაგან მიღებულ საარჩევნო წარმოებას დამფუძნებელ კრებას გადასცემს.

15. თვითეულ საარჩევნო ოლქში დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ თვითეული საოლქო კომისია შედგება. კომისიას თავმჯდომარეობს საგუბერნიო (საოლქო) ეროობის საკრებულოს თავმჯდომარე ანდა მისი მოადგილე. კომისიაში შედიან: საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგი ანდა მისი მოადგილე, ორი წევრი საგუბერნიო, (საოლქო) ქალაქის გამგეობის მიერ არჩეული და საგუბერნიო (საოლქო) საერობო გამგეობის მიერ არჩეული 2 წევრი. ამათ გარდა მე 52 ე მუხლში ნაჩვენებ დროზე, კომისიაში შედის თვითეული წევრი იმ ჯგუფებისა, რომელთაც საკანდიდატო სიები წარადგინეს.

16 დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ საოლქო კომისიებს ევალებათ:

1) ზედამხედველობა გაუწიონ, რომ თავის დროზე დაარსდნენ და მოქმედებას შეუდგნენ სამაზრო და საქალაქო კომისიები, დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმისთვის დაარსებულნი;
2) დამტკიცება საამომრჩევლო უბნებისა, სამაზრო და საქალაქო კომისიების წარდგენილებისამებრ და განხილვა ყოველივე განცხადებისა იმ შეცდომების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ქალაქსა თუ მაზრის საამომრჩევლო უბნებათ განაწილების დროს.
3) განმარტვა და საყოველთაოთ გამოცხადება იმ დღისა, როდესაც ქალაქების, სოფლების და სოფლის საზოგადოების საერობო მმართველობანი საამომრჩევლო სიების შედგენას უნდა შეუდგნენ, ზედამხედველობის გაწევა, რომ ეს სიები დროზე შეადგინონ და დროზედვე გამოაცხადონ საყოველთაოდ.
4) საკანდიდატო სიების მიღება და მათი განხილვა ნუმერაციითურთ, მათი საყოველთაო წაკითხვა, გამოკვრა და გადაცემა სამაზრო და საქალაქო კომისიებისათვის, აგრეთვე ქალაქის საუბნო და სასოფლო საერობო გამგეობათათვის და აგრეთვე სიების შეერთების საყოველთაო გამოცხადება.
5) თადარიგის დაჭერა საარჩევნო კონვერტების, საამომრჩევლო ბარათების და სხვა ამგვარ რამის დასამზადებლად ანდა ამ საქმის სამაზრო და საქალაქო კომისიებზე გადაცემა.
6) ხმების დათვლა ოლქში, არჩევნების შედეგების შეტყობა და მათი საყოველთაოდ გამოცხადება.
7) დამფუძნებელ კრების წევრებად არჩეულთათვის სათანადო მოწმობების მიცემა.
8) საარჩევნო წარმოების ყოველივე დასრულებულ საქმეთა დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სრულიად რუსეთის კომისიისათვის გადაცემა.
9) საარჩევნოთ მიღებულ სესხის განაწილება ოლქში.

მუშათა ცხოვრება

თფილისის საქონლის სადგურის მუშათა ცხოვრებიდან. 28 ივლისს თფილისის საქონლის სადგურზე შესდგა მუშების და მოსამსახურეების შეერთებული კრება. კრებამ განიხილა საკითხი ქალაქის არჩევნების და რკინის გზაზე მუშაობის დაცვის და ამის წინაამდეგ ზომების მიღების შესახებ. პირველ კითხვაზე მიიღეს რეზოლიუცია: ხმა მისცენ სიას № 1.

მეორე კითხვის შესახებ კრებამ ერთხმათ მიიღო ამხ. სამსონიასაგან წამოყენებული რეზოლიუცია. ვიღებთ რა მხედველობაში მდგომარე მომენტის სიდიდეს, როდესაც რევოლიუციის და თავისუფლების ინტერესები გვიკარნახებენ თვითეული ჩვენგანი იყოს თავის ადგილას ამასთანავე თავის წინაშე მოვალეობათ ჩასთვალონ დაუზოგველი შრომით და საქმისადმი სერიოზული მოპყრობით რევოლიუციონურ ლაშქარს ყოველ ნაირი საჭირო საგნების და სურსათის თავის დროზე მიწოდება, ხელი შეუწყონ, რათა შესძლონ აიძულონ ჩვენიან მეომარი სახელმწიფოები მთელი კაცობრიობის დამღუპველი ომის მალე მოსპობით და ისეთი საპატიო ზავის ჩამოსაგდებათ, რომელიც წამოყენებულია რუსეთის რევოლიუციურ დემოკრატიისაგან ზავი უანექსიო და უკონტრიბუციოთ ზარალის აუნაზღაურებლათ, ერების თვით გამორკვევის ნიადაგზე. ამასთანავე საერთო კრება აღფრთოვანებულია ჯარის იმ ნაწილების სიმამაცით, რომლებიც სამშობლოს და რევოლიუციის დასახსნელათ სიცოცხლეს სწირავდენ იმ დროს, როდესაც ჯარის ზოგიერთი ნაწილები მუხანათურად უკან გამორბოდა და რევოლიუციას ღალატობდა. რკინის გზის მოსამსახურეები უგზავნიან მათ ამხანაგურ სალამს, უწვდის ძმურ ხელს, ფიცი ქვეშ პირდებიან აღმოუჩინონ მათ ყოველგვარი დახმარება. ამის გამო მოუწოდებენ ისინი რა თავიანთ ამხანაგებს სერიოზული და შეგნებული შრომისაკენ, საჭიროთ სთვლიან გააფრთხილონ ზოგიერთი ამხანაგები, რომ ყველა ისინი, რომლებიც ეხლანდელ სერიოზულ მომენტს არ შეიგნებენ და თავისუფლების განმტკიცებისთვის შრომას დაზოგვენ ისინი მოღალატეთ იქნებიან ცნობილი. **საშა.**

თფილისი. ივლისის პირველ რიცხვებში კლუბების მზარეულებმა მოსთხოვეს „ბუფეტჩიკებს" ჯამაგირების მომატება, ყველა ცალცალკე ამ განცხადების მომხრენი იყვნენ. მაგრამ როცა მოვიდა ჯამაგირის მიღების დრო მაშინ კი უარი განაცხადეს. ეს მოხდა ხელოსანთა კლუბში, ქართულ კლუბში და თფილისის „სობრანიაში" ბ. ს. გიგიბერიამ, ვაჭართა ბიუროს თავმჯდომარემ, მოიწვია საერთო ვაჭართა კრება, მასთან იყვნენ ს. ხელაძე და გვ. ოზ—ლაშვილი, რომლებიც ყოველ საშუალებას ხმარობდენ ჩვენ დასამარცხებლათ, მაგრამ მზარეულთა საერთო კრებამ გადასწყვიტა გაფიცვა— ჩვენს გამგეობას სთხოვენ ზოგიერთები დაიწყოთ მუშაობა, მაგრამ გამგეობას არა აქვს უფლება დაარღვიოს საერთო კრების დადგენილება. ხელზე მოსამსახურეთა კავშირის წევრები კი მუშაობენ და მხარს არ გვიჭერენ.

გამგეობის წევრი: **ბესო დვალი.**

რევოლიუცია პროვინციაში

დ. ხაბუმი. (ზუგდ. მაზრა). 23 ივლისს, აქ მოეწყო დიდი მიტინგი. სიმონ თოდორდავამ აუხსნა ხალხს ორი პროგრამა: სოც.-დემოკრატებისა და სოც.-ფედერალისტებისა, ბოლოს კენჭი უყარა ჯერ სოციალიზაციას და მერე მუნიციპალიზაციას. რომელი პროგრამა რომელ პარტიას ეკუთნოდა არ უთქვამს. მიიღეს მუნიციპალიზაცია. აგრარულ საკითხის შესახებ ილაპარაკეს სოც.-რევოლიუციონერების და სოც.-ფედერალისტების პარტიების წარმომადგენლებმა. ორივე პარტიის წარმომადგენელთ ხალხი ცივათ შეხვდა, შემდეგ ზუგდიდის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ვიქტორ კალანდარიშვილმა მოახსენა კრებას სამაზრო კომიტეტის აზრი მომრიგებელ სასამართლოს ხაბუმიდან წალენჯიხაში გადატანის შესახებ. ხალხი ნაწყენი დარჩა ამით და პროტესტი გამოუცხადა სასამართლოს გადატანის გამო და დაადგინეს სასამართლოს გადატან-გადმოტანის საქმე შეჩერებულ იქნეს დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. თუ მართლაც ეს სასამართლო გადაიტანეს—დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს ხალხში. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, თორემ ისარგებლებენ ნაძირალები და ხალხს ააღელვებენ. ჩვენის აზრით საჭიროა ხსენებული სასამართლო ისევ აქ დარჩეს. **დამსწრე.**

ქ. თავრიზი. (სპარსეთი). 28 ივლისს აქ მოხდა თავრიზის გარნიზონის ქართველი ჯარისკაცების და აფიცრების კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს პრაპ. ჯ. ყაჭეიშვილი, ამხანაგათ უნტ. აფიცერი კირკიტაძე. თავმჯდომარემ გააცნო დამსწრეთ კრების მიზანი, დღევანდელი რევოლიუციის მნიშვნელობა და სხვ... ამასთან თავმჯდომარემ მოუწოდა ქართველ ჯარისკაცებს და აფიცრებს უკუ ეგდოთ პირადი ინტერესები და ჩარეულიყვნენ იმ საერთო ფერხულში, რომელშიაც იმყოფება დღეს რუსეთის დემოკრატია. სხვა რეზოლიუციებთან ერთად კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი:

1) ხელი შეუწყოს დღევანდელ დიად რევოლიუციის განმტკიცებას, 2) ნდობა გამოეცხადოს, როგორც დღევანდელ მთავრობას ისე პეტროგრ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, 3) კრებამ საჭიროთ დაჰგმო 3—5 ივლისს ზოგიერთების გამოსვლა პეტროგრადში და უწოდა კონტრ-რევოლიუციონური. კრების დახურვის შემდეგ ამხ. თავმჯდომარემ დაურიგა ჯარისკაცებს პროგრამები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, რამაც ზოგიერთ ფედერალისტ აფიცრებში უკმაყოფილება გამოიწვია. ჯარისკაცები ნასიამოვნები დარჩნენ კრებით. **დამსწრე.**

პროვინციის ცხოვრება.

ს. ჭაჭიეთი. (გურია). ივნისის რიცხვებში ადგილობრივ მოწინავე პირთა მეთაურობით ს. ჭაჭიეთში დაარსდა ერთ ჩოლა ლომთათიძის სახელობაზე უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო. სამკითხველო შენობის უქონლობის გამო დროებით მოთავსებულია სკოლის ოთახში. სამკითხველოს მოსდის: „ერთობა", „სოციალ-დემოკრატი", „ალიონი", „საქართველო" და „ეშმაკის მათრახი". მკითხველთა და წევრთა რიცხვი თანდათანობით მატულობს. მადლობას უცხადებთ შ.შ. შემომწირველთ: სილო ნიკოს ძე კალანდაძეს—თანამედროვე წიგნები. ევტიხი და პავლე თავართქილაძეებმა 60 მ., ადგილობრივი სცენის მოყვარეებმა 42 მ., პანტელეიმონ თალაკვაძემ 5 მ., ედემ თავართქილაძემ 10 მ. და ელპიტი თავართქილაძის ასულმა 3 მ.

პატივისცემით გამგეობის წევრნი: **სტაქი თალაკვაძე, სილიბისტრო თავართქილაძე, სიმონ მახარაძე.**

წერილები რედაქციის მიმართ.

თელავის მახლობელ სოფლებში შიმშილი მძვინვარებდა, როგორც სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ ხალხში ვიღაც პირები დადიოდნენ და დამშეულ ხალხს არწმუნებდნენ, თუ დ. ლუკაშვილს აირჩევთ შენახველ გამსესხებელ ამხანაგობაში იგი უზრუნველყოფს მთელ თელავს და მის მაზრას სურსათითო. ამან გამოიწვია ის არა სასიამოვნო მოვლენა, რაც მოხდა 9 ივლისს შენახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საზოგადო კრებაზე.

კრებას დაესწრო სამასამდე წევრი, მათ შორის იყო რამდენიმე პირი, რომელნიც დაჟინებით მოითხოვდნენ ყოველგვარ ანგარიშის მოუსმენლად, აერჩიათ ლუკაშვილი გამგეობის წევრად. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ საჭირო შეიქმნა პატრულის გამოწვევა ქალაქში. ამ დროს ლუკაშვილი კრებაზე იყო და მხარს უჭერდა ზოგიერთის „ვითომდა შემშიერთა მოთხოვნილებას". ყოველგვარ უბედურების ასაცილებლად აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე იძულებული გახდა კრება დაეხურა. კრების შემდეგაც ბ. ლუკაშვილის ხელმძღვანელობით ნაწილი მცხოვრებისა დიდ უკმაყოფილებას აცხადებდა და იმუქრებოდა.

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა, მუშათა და სალდათთა საბჭოების, სოციალ-დემოკრატების, სოც.-ფედერალისტების, ეროვნულ დემოკრატების და დაშნაკცუტიუნის პარტიების წარმომადგენლებმა შეერთებულ სხდომაზე, 11 ივლისს, იქონია ამაზე მსჯელობა. სხდომამ აღიარა, რომ ლუკაშვილი, როგორც დაინტერესებული პირი აღელვებს ხალხს და სახელს უტეხს რევოლიუციონურ დაწესებულებათ და ყოველივე პროვოკაციით ეწინააღმდეგება მათ. ამიტომ შეერთებულმა სხდომამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„რადგან ასეთი გამოსვლები საფრთხეს უქმნიდეს რევოლიუციის მიერ შექმნილ წესწყობილებას, და ასუსტებს რევოლიუციონურ ძალებს, თუ ახლავე არ იქნა მიღებული ზომები, მოსალოდნელია ექსცესები წინადადება მიეცეს დ. ლუკაშვილს 24 საათის განმავლობაში დასტოვოს თელავის მაზრა და ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნებულ იქნას პრესაში".

სამების (გურია) უფასო სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომლებმაც მოწოდების ფურცლებით შეაგროვეს ხსენებული სამკითხველოს სასარგებლოდ შემოწირულებანი. დიდს მადლობას ვუძღვნით ყველა შემომწირველთ. მივიღეთ შემდეგი პირებისაგან: გრიგოლ ბ. ნადარეიშვილისაგან შეგროვილი სოხუმში 128 მან., ივანე ან. სიხარულიძისაგან—გაგრაში 106 მ.ნ., ივლითი და ეფრემ ნ. ბურჭულაძისაგან 100 მან., ავქსენტი აბუსერიძისაგან შეგროვილი სოხუმში 78 მან., მიხაკო ელიაძისაგან 41 მან. და ოც მან. ღირებული ლამპ; არჩილ და მოსე წეროძისაგან შეგროვილი თფილისში 72 მან. 30 კაპ., ევგენი ბურჭულაძისაგან—თფილისში 60 მან. 05 კაპ., სილიბისტრო მონთიძისაგან—სარიყამიშში 60 მან., პორფირი კონსტანტინე ბურჭულაძისაგან 57 მან., ვანო კომახიძის და იოსებ ბაზიარისაგან შეგროვილი ფოთში 57 მ.ნ. 60 კაპ., ლადიკო წეროძისაგან—ნატანებში 50 მან., კაპიტონ მახარაძისაგან შეგროვილი თფილისში 50 მან., ბარნაბ კობალაძისაგან—თფილისში 50 მან., ივანე ჭავჭანიძისაგან 54 მან., ანეტა და არკადი ავალიანისაგან—სამტრედიაში 46 მან., 50 კ. ერმილე ბ. ჭურჭულაძისაგან—ბაქოში 48 მან., ნინა ჩხიკვაძისაგან—ლანჩხუთში 43 მან. 30 კაპ., ლადიკო წილოსანისაგან—სარიყამიშში 45 მან., კონდრატე მახარაძისაგან 41 მან. 50 კაპ., ნესტორ წეროძისაგან—თფილისში 47 მან. 30 კაპ. და ერთი წლით გაზეთი „სახალხო საქმე", ალექსანდრე ეს. ჩხარტიშვილისაგან 34 მან. 50 კაპ., ერასტო კვინჯერაძისაგან 35 მან. 85 კაპ., გიორგი ან. სიხარულიძისაგან—კავკავში 30 მან., ილიკო გოგელიასაგან—თფილისში 41 მან., ქიონია და მოსე ბარამიძისაგან—ტაუზში 27 მან., ნოე გლ. სიხარულიძისაგან 25 მან., პავლე რუხაძისაგან 25 მან., შალვა პანტურიშვილისაგან—კურდამირში 27 მან., ივანე მგელაძისაგან ბათუმში 24 მან., ილარიონ ხაჭაპურიძისაგან 23 მან. 20 კაპ., სანდრო ფ. კობალაძისაგან—თფილისში 23 მან. 50 კაპ., ნინა ლექვეისაგან—23 მან. 67 კოპ., სამსონ წეროძისაგან—თფილისში 23 მან. 90 კაპ., ევგენი შალიკაშვილისაგან—შახტახტში 26 მან., მოსე ივლ. ქლენტისაგან 15 მან. და ქართველი მწერლების სურათები, ღირებული 15 მან., დოროთე და გურია ქლენტისაგან—ჩაქვში 22 მან., მარუსია წეროძისა ვლადიმერის ასულისაგან—ზომლეთში 20 მან. 50 კაპ., ნესტორ რუსიშვილისაგან ბათუმში 20 მან. 50 კაპ., ვერა და აკაკი თოფურიასაგან 19 მან. 20 კაპ., პორფირი სევერიანე ქლენტისაგან 16 მან., ალექსანდრე წეროძისაგან—ოზურგეთში 14 მ.ნ. 50 კაპ., ტიტე ფარცხალაძისაგან 14 მ.ნ., ისიდორე ს. გოგელიასაგან—ქარელში 17 მან., აკაკი ფალავასაგან—ქუთაისში 20 მან., პოლიკარპე რუხაძისაგან 20 მ.ნ., ზაქარია თავაძისაგან 15 მან., ხარიტონ მანთიძისაგან 15 მან., ავქსენტი ნადარეიშვილისაგან 10 მ., იერია ქლენტისაგან—ბათუმში 11 მან. 50 კ., მიხეილ წეროძისაგან 7 მან., მოსე გოგიბერიძისაგან 7 მან. 23 კაპ.

პატივ. სამების სამკითხვ. გამგეობა.

ს. ფამფალეთის (გურია). სამკითხველოს გამგეობა მადლობას უძღვნის ვინც დახმარება აღმოგვიჩინა გაზეთებით თუ წიგნით, ხსენებულ სამკითხველოს.

სამკ. გამგ. წევრი **იპოლიტე ინწკირველი.**

მოქალაქე ი. მ. ზენაიშვილმა შეაგროვა უ. კ. ს. ლანჩხუთის განყოფილების სასარგებლოთ 45 მ. და 50 კ. რაზედაც განყოფილების გამგეობა მადლობას უძღვნის მას და შემომწირველთ.

აგრეთვე მადლობას უცხადებს პლატონ ებრალიძეს, რომელმაც შემოსწირა 100 მან., გიორგი შარაშენიძეს—100 მ., ა. ა. ჯიბლაძეს—15 მ., ივანე სალუქვაძეს—25 მან., ე. ბუღლიშვილს—25 მ., სერგი თოფურიძეს—20 მ., ი. დ. ჯულუხიძეს—10 მ., ლისა თოხაძეს—10 მ. სულ 305 მ.

განყოფილების გამგეობა.

ს. ზედახუნწის მცხოვრებლები მადლობას უცხადებენ: იოსება და გიორგი სიმონის ძე ფარულავებს და თედორე ძიძიგურს, რომლებმაც ერთი წლ. ჩვენი გაზეთი „ერთობა" გამოუწერა ხსენებულ სოფ. მცხოვრებლებს.

მ. ჭელიკავა.

უღრმეს მადლობას უცხადებთ „ზაურიადნი ჩინოვნიკს" სპირიდონ კონსტანტინეს ძე კონტრიძეს, რომელმაც ექადიის სკოლას შემოსწირა ოცი მანეთი.

მასწავლებელი **ევტიხი ხალუქვაძე;**
მზრუნველი **ანდრია მხატვარი.**

მადლობას უცხადებთ ამხ. რაჟდენ ზაქარაიას და კონსტანტინე ძაგანიას, რომლებმაც ნაჯახოვო-ნაგებეროუს „ევგენი გეგეჭკორის" სახელობის სამკითხველოს თითო წლით გამოუწერეს პირველმა გაზეთი „მეგობარი" ხოლო მეორემ „ბორბა".

სამკ. გამგ. თავმჯ. **თომა გაბუნია.**

მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს ს. ცხრაწყაროს უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს.

გამგ. თავმჯდ. **ნ. ღლონტი;**
მოლარე: **ილ. გოცაძე.**

ფაკის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს ჯარისკაცს ბართლომე ოქროპირის ძე ხვიჩიას, რომელმაც შეკრიბა თავის ამხანაგებთა და ნაცნობთა შორის კავკასიის არმიაში მოწოდების ფურცლით № 13 19 მან. აგრეთვე მადლობა ნესტორ არსენის ძე ბოლქვაძეს, რომელმაც შეაგროვა მოწოდების ფურცლით № 14 ქ. ბათუმში—32 მან. და 50 კაპ.

ფაკის სამკ. გამგ. მონდ. გამგ. წევრი **რაისა გიორგის ასული კეჭელმაძისა.**

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

— ჯარისკაცი ზაქარია თოფესაშვილი. მსახურობდა მე 26 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე-11 როტაში 1-ლ ზვოდში. თუ ვინმემ იცით რამე მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ამ ადრესით: ст. Карели зак. жел. Николаю Надирашвили для мастера Топесашвили.

— ლუარსაბ პავლეს ძე მაწყვალაძე იმყოფებოდა მესამე „გორნი ბატარეიაში" საველე მყოფეში (ბაქოში) № 9-ში. შემდეგ არაფერი გაგვიგია. გთხოვთ გვაცნობოთ: Кавказская Армія Управленіе 2 горнаго дивизіона 2-ой кавказской стрѣлковой артиллерійской бригады. Абесалому Чархалашвили.

— ჯარისკაცი შალიკო ესეს ძე გოგუაძე მსახურობდა მე 219 სათადარიგო ბატალიონში მე-7 როტაში. თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობეთ: Сарикамышъ 2-й кавказскій желѣзнодарожный баталіонъ 4-й рота Василію Гогуадзе.

— ჯარისკაცი ივანე ნიკოლოზის ძე კობალაძე მსახურობდა პირველ კავკასიის რკინისგზის ჯარში მე 4 როტაში მე-4 ზვოდში, ვთხოვ თუ ვინმემ იცის მის შესახებ სად იმყოფება, მაცნობოს შემდეგი მისამართით: гор. Озургеты Константину Тугуши для Мар. Кобаладзе.

— ვანო ხუციშვილი მუშაობდა ახრუმის რაიონში სოფელ ტაპიგაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობეთ Тіонеты ст Ахмета село Цинубани Алексій Кочіеву.

— არსენ ჩულქია, მსახურობდა ტურკესტანის მსროლელ პოლკში. ვთხოვ თუ ვინმემ რამე იცის შემატყობინოს. მისამართი Штабъ 6-го Кавказскаго Армейскаго корпуса Санитарно гигіеническій отрядъ Акакій Чулкія.

— ჯარისკაცი ზაქრო კოსტას ძე აბუსერიძე მსახურობდა პირველ კავკასიის სახელმწიფო გზის ბატალიონში მეოთხე როტაში. გთხოვთ თუ ვინმემ იცით მის შესახებ რამე შემატყობინეთ ამ მისამართზე: Батумъ Управленіе коменданта ст. первая контрольная рота Сергѣю Конст. Абусеридзе.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფებს იღებენ დილით 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, №

ექიმი მ. გ. ჭეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი, პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.
გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში
ერთი თვით 2 მ. ნ. 60 კაპ., ცალკე ნომერი 12 კაპ.
გაზეთის ფასი ხელის მოწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.
თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში ოლღას ქუჩა, № 6.

16 ივლისიდგან თფ. გამოდის ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული ჟურნალი
სოფლის მუშა
ჟურნალის გამოწერა, ფული და მასალა მიიღება შემდეგი მისამართით: თფილისი. სასახლე, სპარსეთის დარბაზი, იოსებ გიორგის ძე ირემაშვილს. გამოსაწერი ფასი წლით 10 მან. ნახევარი წლით—5 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ. 1, თვით—80 კ.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ
БОРЬБА
Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.
Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.
Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».
Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.